# ცნობის ფურცელი

№ 2058 კვირა, 2 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2058

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**ამ ნომერში ექვსი გვერდია**

**დღესასწაულის გამო შემდეგი № გამოვა 4 თებერვალს.**

**ამ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-88 №-რი.**

**უგანათლებულესი თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 იანვარს პეტერბურგში გარდაცვალებულ ძვირფას მამის **უგანათლებულესის თავადის**

**ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის**

გვამს მოასვენებენ ახალ სენაკის სადგურზე ორშაბათს, 3 თებერვალს, დილით; იქიდან მეორე დღეს ცხედარი წასვენებული იქნება მარტვილს სამეგრელოს მთავართა საგვარეულოს აკლდამაში დასაკრძალავად. დაკრძალვა ოთხშაბათს, 5 თებერვალს. პეტერბურგიდან მომავალი მატარებელი, რომელშიაც ცხედარი იქნება, თითო საათი გაჩერდება შემდეგ სადგურებზე: ტფილისსა, გორსა, რიონსა და სამტრედიაში. რიონში მატარებელი მოვა ნაშუაღამევს 3 საათსა და 34 წუთს (პეტერბურგის დრო). (4—4)

---

დაგვიანებისა გამო მატარებელი **სამეგრელოს უგანათლებულესის თავადის**

**ნიკოლოოზ დავითის ძის**

გვამით მოვა ტფილისში 2 თებერვალს, კვირას, **საღამოს 7 ს. 18 წ.** (ტფილისის საათით) და ერთს საათს გაჩერდება. მატარებლის მოსვლის უმალ, სადგურზე განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი. (2—27—2)

---

**კვირას, 2 თებერვალს,** ტფილისის რკინის გზის სადგურზე გაატარებენ პეტერბურგში გარდაცვალებულის უგანათლებულესის თავადის

**ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" საპატიო წევრის გვამს. საზოგადოების თავმჯდომარე, აუწყებს რა ამას საზოგადოების წევრთ, უმორჩილესად სთხოვს, მობრძანდნენ კვირას, **საღამოს 6½** საათ. ტფილისის სადგურზე, სადაც გადახდილ იქნება პანაშვიდი. (2—2)

---

**ირინე, ვასილ, გრიგოლ და თეოფილე გიორგობიანნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი—საყვარელის შვილის, ხოლო მეორენი—ძმის ექიმის

**დავით გიორგობიანისას.**

პანაშვიდი კვირას, 2 თებერვალს, ქუთაისში. (1—1)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

**კახურის ღვინის**

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მყიდველთა და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

**ღვინო იყიდება:**

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოპოვისა, და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. 0—3

**ხრომო-ლითოგრაფია**

და პირველი

**საკონგრევო-სარელიეფო დაწესებულება**

(განოვის ქუჩა, მანთაშევის სახლი, № 3)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ მუშტრებს, რომ შევიძინე უკანასკნელ კონსტრუქციის საკონგრევო სარელიეფო მაწრალ-მბეჭდავი მანქანა ყოველ გვარ ელექტრონის მოწყობილებით. მოვიწვიე აგრეთვე რუსეთიდან საუკეთესო მხატვარნი და ამომჭრელნი და ამიტომ შემიძლიან ყოველგვარ საქმის შესრულება: ხრომო-ლითოგრაფიისა და აგრეთვე საკონგრევო-სარელიეფო სამუშაოებისა რაიცა პირველი მაგალითია ტფილისისა და ამიერ-კავკასიისათვის. მუშტარს თვით შეუძლიან დარწმუნდეს და შეადაროს ჩვენი ნამუშევარი რუსეთის საუკეთესო ფირმების ნამუშევარს. ფირმა არსებობს 1876 წლიდან. ტელეფონი № 24.

(3—2) პატივის ცემით **გიორგი ივანეს ძე დიმუროვი**

გაზ. „ცნობის ფურცელი" უკელა ტფილისელ გაზეთებთან ღირს ცალკე ნომერი **3** კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი **5** კაპ.

გაზეთები იყიდება აგრეთვე **ქუთაისში** ვ. ბეჟანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

წარმოდგენა მე-34. ტელეფონი 617

**ქართული თეატრი**

კვირას, 2 თებერვალს 1903 წელს.

დილის **იაფ ფასიანი** წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**დაკლებულის ფასებით**

დილის 12 საათზე

პირველად ახალი პიესა

I

**მტერ-მოყვარე**

**ძმები**

კომედია 4 მოქ. ერკმან-შატრიანისა, თარგმ. ცაგარლისა.

II

**ორი მშიერი**

ვოდევილი 1 მოქ. გადმოკ. დ. აწყურელის მიერ.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ო. ლეჟავა, რიონელი; ბ-ნნი: აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გედევანოვი, გუნია, ივანიძე, სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, იორდანიშვილი და სხ.

**დასაწყისი დილის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას ბენეფისოდ (**„დარღვეული ბინა" და „ხიმე ხიმბერი"**), **„მიკუნჭული ბედნიერება" „სტუმარი"**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ზ. ბ. მადალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ძამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

**ა. ვ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12— საათამდე.

**მ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ზრ. ვ. ხოზოლევსკი**—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**საღამოთი:**

**ა. ზ. მადალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და „სუედ გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში). (წ

**ექიმი**

**ვ. ლამბაშიძე**

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 612**

სრულიად ახლად გადაკეთებული

**„იუჟნიე ნომერა"**

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—2)

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

**ახალშენიშვილი**

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

## საზღვარ-გარედ

**ბოლგარია.** ტელეგრაფმა ამ დღეებში ამბავი მოიტანა, გამოჩენილი და ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწე პეტკო კარაველოვი გარდაიცვალაო.

კარაველოვი 1840 წელს სამხრეთ ბოლგარიაში დაიბადა; იმის მშობლებს კარგი შეძლება ჰქონდათ. 1860 წელს კარაველოვმა რუსეთში გადასვლა მოახერხა, მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა და კურსიც დაასრულა. მოსკოვში კარგა ხანს ცხოვრობდა და აქაურ მე-60 და მე-70 წლების დაწინაურებულ წრეებს დაუახლოვდა; ერთის სიტყვით, კარაველოვი შინაურ კაცად ითვლებოდა მოსკოვში. და ძლიერ კარგადაც მოეწყო ამ ქალაქში, მაგრამ თავის დამონავებულ სამშობლოსაც არას დროს არ ივიწყებდა და რამწამს ოსმალებმა 1878 წელს ბოლგარიის ჩრდილოეთის ნაწილი დასცალეს. კარაველოვი დაუყოვნებლივ დაბრუნდა თავის სამშობლოში. შესანიშნავ მჭერმეტყველობისა და პოლიტიკურ ცოდნის წყალობით კარაველოვმა მალე გამოიჩინა თავი და ბოლგარიის მოღვაწეთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა.. მალე ლიბერალურ პარტიის მეთაურად გახდა და ახალ საერო კრებაში 1879 წელს სხვებთან ერთად ოპოზიციას უწევდა წინამძღოლობას. როცა 1880 წელს ოპოზიციის მეორე მეთაური ცანკოვი პირველ მინისტრად მიიწვიეს, კარაველოვი ფინანსთა მინისტრად გახდა; რამდენისამე ხნის შემდეგ, ნოემბერში შეცვლილ ლიბერალურ სამინისტროს მეთაურობაც მიიღო. 1881 წელში მოხდარმა სახელმწიფო ცვლილებამ— კონსტიტუციის გაუქმებამ—კარაველოვის სამინისტროც დაამხო. თითონ პირველი მინისტრი ფილიპოპოლში გაიქცა. ფილიპოპოლი მაშინ ჯერ ბოლგარიას არ ეკუთვნოდა. კარაველოვმა დიდი აგიტაცია გამართა და კონსტიტუციის აღდგენას თხოულობდა. როცა 1883 წ. კონსტიტუცია დაადგინეს, კარაველოვიც სოფიაში დაბრუნდა და 1884 წ. ხელ-მეორედ პირველ მინისტრად მიიწვიეს. კარაველოვის მეორე სამინისტრომ ბევრი დიდი საქმე გაარიგა: აღმოსავლეთი რუმელია ბოლგარიას შემოუერთეს; საფინანსო მმართველობა წესიერადა და ყაირათიანად მოაწყეს; გლეხ-კაცებს აუტანელი ყოფა შეუმსუბუქეს. კარაველოვის სამინისტრო ახალ სახელმწიფო ცვლილების შემდეგ 1886 წელს დაეცა. როცა მთავარი ალექსანდრე ბატტენბერგი გადადგა, კარაველოვიც სარეგენტოს წევრად დაინიშნა—სულ სამი წევრი იყო სარეგენტოში—მაგრამ სტამბულოვთან უთანხმოება მოსვლოდა და რეგენტობას მალე გადადგა თავი. როცა მთავრად ფერდინანდ კობურგელი მიიწვიეს, კარაველოვმა და ცანკოვმა

მედგარი ბრძოლა დაუწყეს მთავრობას. ესენი არაფერში არ ურიგდებოდნენ პირველ-მინისტრს სტამბულოვს და ამტკიცებდნენ, რომ ახალი მთავარი უკანონოდაა მოწვეული. ყოვლად ძლიერმა პირველმა მინისტრმა სამაგიერო გადაუხადა კარაველოვს; მინისტრ ბელჩევის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება დააბრალა. ეს ბრალდება არაფერზე არ იყო დაფუძნებული, მაგრამ მთავრობის მორჩილმა მოსამართლეებმა კარაველოვს ხუთის წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს. ეს მოხდა 1892 წ. როცა სტამბულოვი დაეცა, მაშინდელმა პირველმა მინისტრმა სტოილოვმა კარაველოვს შეუთვალა, გაგანთავისუფლებ, თუ მთავარს კანონიერ მთავრად აღიარებო, მაგრამ კარაველოვი არ დასთანხმდა. 1894 წელს დეკემბერში მთავრობამ უპირობოდაც გაანთავისუფლა კარაველოვი. კარაველოვი პოლიტიკურ მოქმედებას დაუბრუნდა და ცოტ-ცოტათი ცანკოვისტებსა და თვით სტოილოვის მიმდევრებს დაუახლოვდა ისევ. ეს პარტიები იმ დროს ისევ ოპოზიციაში იყვნენ, რადგან სამინისტრო ისევ სტამბულოვის მიმდევრებმა ჩაიგდეს ხელში. ბოლგარიის საფინანსო საქმეები ისე აირ-დაირია, რომ 1901 წლის დამდეგს მთავარი ფერდინანდი იძულებული იყო პირველ-მინისტრად ისევ კარაველოვი მოეწვია. პირველმა მინისტრმა ბევრი ცვლილება მოახდინა საფინანსო და საადმინისტრაციო საქმეებში, მაგრამ მაინც რიგზე ვერა უშველარა ბოლგარიის დაცემულ ფინანსებს. 1902 წლის დამდეგს კარაველოვი სამსახურიდან გადადგა და იმის მაგიერ ცანკოვი დაინიშნა პირველ მინისტრად.

კარაველოვის სიკვდილმა ძლიერ დაალონა ბოლგარიის საუკეთესო ხალხი. დეპეშამ ამბავი მოიტანა, საერო კრებამ დაადგინა: კარაველოვი სახელმწიფო ხარჯით დასაფლავდეს და იმის სახლობას წელიწადში 6,000 ფრანკი ეძლიოს პენსიადაო.

**ესპანია.** ყველგან მთელს ევროპაში დიდძალი მუშა ხალხი დარჩენილა უსაქმოდ და ულუკმაპუროდ. უსაქმობა მოარულივით მოედო მთელს ევროპას. გერმანიაში წელსაც, ისე როგორც შარშან, ხშირადა ჰმართვენ კრებებს და აწყობენ, როგორ უშველონ საქმეს და საშინელ ეკონომიურ გაჭირვებას თავი დააღწიონ. ლონდონში დიდძალი მუშა ხალხი ქუჩა-ქუჩა დადის და გამვლელ-გამომვლელს სამუშაოსა სთხოვს. უარებელი ხალხი ბაღებსა, ხიდებ ქვეშა და ქუჩებში ათევს ღამეს. ჰოლანდიაში ეკონომიურმა კრიზისმა დიდი გაფიცვა გამოიწვია. ამავ ეკონომიურმა კრიზისმა ეხლა ესპანიაშიაც აალელა მუშები.

გაზეთები იუწყებიან: ქალ. ვალადოლიდში უსაქმო მუშები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და პურისა და სამუშაოს თხოულობდნენ. უსაქმო მუშები კალატოზებსა და მიწის მთხრელებსაც არწმუნებდნენ, მუშაობა შეაყენეთო. დემონსტრაციის სამწუხარო შედეგი მოჰყვა. დემონსტრანტებმა პურით დატვირთული ფურგუნი დააყენეს და პური დაიტაცეს; მოცვივდნენ ჟანდარმები და ხალხს რევოლვერები ესროლეს, ბევრი დასჭრეს და უფრო ბევრი დაატუსაღეს. კატალონიაში ყველა მუშები გაფიცულები არიან ამ ჟამად; იქნება, ეს გაფიცვა მთელ ესპანიას მოედოს.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** ჰუნგრეთის სეიმი ახალ სამხედრო კანონ-პროექტს არჩევს. ბევრი შფოთი და აყალ-მაყალი გამოიწვია ამ კანონ-პროექტმა. ამ დღეებში ამნაირი ამბავი მომხდარა.

გრაფ იული ანდრაშიმ სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, ჯარში გერმანული ენა უნდა იხმარებოდესო. გამოთქვა თუ არა ანდრაშიმ ეს აზრი, ოპოზიციამ მაშინვე მიაძახა: „გრცხვენოდესთ! ანდრაში—ჰუნგრულ ენის წინააღმდეგია! დაიკარგეთ; ვენაში, რეიხრატში წადით! მამათქვენი სულ სხვას ამბობდა! თქვენ სცდილობთ, მინისტრობა ჩაიგდოთ ხელში“. ანდრაშიმ პროტესტი გამოაცხადა: ჩემს პატრიოტულს გრძნობას ნუ ამცირებთო. ანდრაშიმ ობსტრუქციაც გაკიცხა და დაუმატა: ეხლანდელი ობსტრუქცია ძლიერ საშიშია ჩვენის საპარლამენტო წესებისათვისაო. ოპოზიცია ისევ აღელდა და მკაცრი პასუხი მისცა ორატორს. ანდრაშის სიტყვამ და ოპოზიციის აღელვებამ ორი დუელი გამოიწვია.

**გერმანია.** 23 იანვარს, რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ლედებური მთავრობის საგარეო პოლიტიკის თაობაზე შეეკითხა. კანცლერ ბიულოვმა უპასუხა: „სოციალ-დემოკრატები ტყუილად გვაბრალებენ, ვითომ ჩვენ სახიფათო საგარეო პოლიტიკას მივდევდეთ. ცუდად არსად არ მოვქცეულვართ, არც თუ სადმე შევრცხვენილვართ. კუნძულ სამოაზე და ჩინეთში ჩვენ გამარჯვებულნი გამოვდივართ და ამ ქვეყნებში ფეხი მოვიმაგრეთ, ვენეცუელაშიაც ფრთხილად ვიქცევით. ინგლისი და იტალიაც ჩვენთან მოქმედებენ. ვენეცუელაში მხოლოდ გერმანიის ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებას ვიცავთ და გერმანიის ვაჭრობის ინტერესებს ვესარჩლებითო“. ბოლოს ბიულოვმა სთქვა, ეხლა გერმანიას აუცილებლად სჭირია ძლიერი სამხედრო ფლოტიო.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 7 საათსა და 18 წუთზე, ბაქოს გზით ტფილისის სადგურზე მოასვენებენ პეტერბურგში გადაცვალებულის **სამეგრელოს უგანათლებულესის თავადის ნიკოლოზ დავითის ძის გვამს.** სადგურზე, სადაც მატარებელი ერთ საათს გაჩერდება, გადახდილი იქმნება პანაშვიდი.

◆ თელავში ამხანაგობა შეუდგენიათ, რომ **სეტყვის საწინააღმდეგოდ** ახლად მოგონილი ზარბაზანი—მორტირა ბლომად გამოიწერონ და იხმარონ. ვ. ი. რცხილაძეს ამხანაგობის სახელობით უთხოვნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის გამოითხოვეთ ფინანსთა მინისტრისაგან ნება ეს მორტირები საზღვარგარეთიდან უბაჟოთ შემოვიტანოთ, რადგან რუსეთში გაკეთებული მორტირი ჯერ ერთი ცუდია უცხოეთისაზე და მერე უფრო ძვირადაც ჰღირსო. საზოგადოებას დეპეშით უთხოვნია მინისტრისათვის 14 მორტირის უცხოეთიდან შემოტანის ნება ამ წელიწადში.

◆ გუშინ, 1 თებერვალს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგან. თავადმა გრუზინსკიმ დეპეშა გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს და სთხოვა, რომ მდგომარე წელს სამეურნეო საზოგადოებას ნება დართოს საზღვარ-გარეთიდან **სეტყვასთან საბრძოლველი მორტირები** უბაჟოდ შემოიტანოს.

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა მოხსენება საბჭოს წევრის ა. ქალანთარისა. ბ-ნი ქალანთარი ურჩევს საზოგადოებას დააჩქაროს **სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა პროგრამის** გამო შედგენილ მოხსენებათა განხილვა, რომ შემუშავებულ მასალის წარდგენა განსაკუთრებულ საბჭოში მოესწროს 15 თებერვლამდე.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა თავ. ზ. ერისთავის მამულში გამართოს საბაღოსნო სკოლისათვის ამერიკულ ვაზის სანერგე და ვენახი. რადგანაც საზოგადოებას ამისათვის ფული არ მოეპოვება, საბჭომ დაადგინა აღძრას **შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე** შემწეობის აღმოჩენის შესახებ. შუამდგომლობის შემუშავება მიენდო საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიას.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვის **შემოსავლის განხილვა საფინანსო კომისიას დაუბრუნებია.** ცვლილება ბევრი არ შეუტანია შემოსავლის აღრიცხვაში, მაგრამ რამდენიმე შენიშვნები შეუმუშავებია შემოსავლის გასადიდებლად. ამ შენიშვნებს კომისია ცალკე მოხსენებით წარუდგენს საბჭოს სამსჯელოდ, რომ ეხლა აღრიცხვის განხილვა არ შეფერხდეს.

◆ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, ცნობილი ექიმი და კერძო საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი **ზ. თოფურია მძიმედ ავად** არის თურმე.

◆ **ხუნაგი და ქუნთრუშა შემცირებულა ქალაქში,** ამიტომ ქალაქის საავადმყოფოებში თავისუფალი ადგილიც საკმაოდაა. სასანიტარო ექიმს უთხოვია და გამგეობასაც ნება დაურთავს ამ საავადმყოფოში 10 საწოლი ხურვებით ავადმყოფებისათვის შეინახოს. ამ თვის 4-დან კიდეც დაიწყებენ ამისთანა ავადმყოფების მიღებას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას სურს **საჩივარი დაიწყოს ძმ. ენიკოლოფოვებზე,** რომელთაც ქალაქის აფთიაქი აქვთ იჯარით აღებული და ამ იჯარის ფულს მოიჯარადრენი ამ უკანასკნელ ხანებში არ იხდიან.

◆ ავადმყოფ არტისტის **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** სასარგებლოდ რედაქციამ ხელოსანის ნოშრევან მერკვილაძისაგან მიიღო სამი მანეთი.

◆ პოლიცმეისტერი სთხოვს გუბერნატორს, ნება მომეცით პოლიციამ შეასრულოს მოსამართლეთა დადგენილება ქალაქის სახლის პატრონთა შესახებ, რომლითაც ესენი მოვალენი არიან თავისს სახლების წინ **ტროტუარები შეაკეთონ ან დაგონ.** პოლიცია სახლის პატრონის ხარჯით თვითონ შეასრულებს მოსამართლეთა დადგენილებასაო, რადგან ქალაქის გამგეობას ბლომადა აქვს ამგვარი დადგენილებანი, მაგრამ აღსრულებაში არ მოჰყავსო.

◆ ხვალ **ტფილისის საბჭოს** კრებაზე განსახილველად დანიშნულია 28 საქმე.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს საეკონომიო განყოფილებამ სთხოვა **კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტს,** შეგვატყობინეთ რა დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთში თქვენა და სააბრეშუმო სადგურსაო.

◆ საეკლესიო მუზეუმს ამ დღეებში რუსეთიდან რამდენიმე კერძო წერილი მოუვიდა, რომლითაც სთხოვენ გააგებინონ იყიდება თუ არა სადმე **თამარ დედოფლის სახე.**

◆ **მეკურჭე მუშებისათვის** პოლიცმეისტერი ამზადებს ცალკე წესებს, აგრეთვე შემოიღებენ ნომრებს ამ მუშებისათვის და ყოველი მუშაც ჩაწერილი იქმნება ცალკე დავთარში.

◆ ვერის ხიდის მოიჯარადრეს ი. მამინაიშვილს, რომელსაც 1-ლ იანვრიდან ამ ხიდზე იჯარის ვადა გაუთავდა და ეხლა სხვას დარჩა ხელში, საჩივარი შეუტანია ქალაქზე ოლქის სასამართლოში, 5700 მანეთისა. ეს ფული ბედ ჰქონდა ბ-ნ მამინაიშვილს შეტანილი ქალაქის კასაში და გამგეობა არ უბრუნებს, რადგან ბ-ნ მამინაიშვილს მეორე ხიდი—მნაცაკანისა—აქვს იჯარით და ამ ხიდის იჯარის გადასახადს ქალაქი ედავება თავისს მხრით მოიჯარადრეს.

◆ რედაქციამ მიიღო სურათი „ვეფხისტყაოსნისა“ ... —

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ** 1 თებერვალი. შავი-ქვის საბჭოს წევრებად აირჩიეს: ცერცვაძე, ნიჟარაძე, მოსეშვილი, ავგერინო.

გუბერნატორმა არ მიიღო საკითხავები ერობის შემოღების შესახებ.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(საკვირაო ფელეტონი)

ორი ტიპი.—ერთგვარი მეცნიერული აზრები.

ეს იყო ზაფხულში.

დილიჟანსში ექვსი კაცი ვიჯექით და მარტვილიდან ხონისაკენ მივემგზავრებოდით. შუა გზაზე ერთი მეგრელი თავადიშვილი შემოგვემატა. საუკეთესო ადგილი დაიჭირა, მძიმედ დაჯდა. ყველას საერთო თავი დაგვიკრა. მერე აგვხედ-დაგვხედა, გამოგველაპარაკა და ჩვენი ვინაობა გამოგვკითხა. რომ გაიგო ჩემი ამბავი—ტფილისში ვექილად ვარ მეთქი, ძალიან გაეხარდა: „ჰოო! ვექილი ბრძანდებით! წარმოსთქვა პატივისცემით: ძალიან კარგი! ძალიან კარგი!... ერთი რამ უნდა გკითხოთ, ბატონო ჩემო:

„ორმოცი წელიწადია გლეხებს მიწა ჩამოვართვი. მას აქეთ ვფლობდი, როგორც სრული მესაკუთრე. ვხნავდი, ვთესავდი, რთველს ვიწევდი. ეხლა თავს დამესხნენ ყაზახები და წამართვეს ის ადგილი, აღარ მანებებენ, ჩვენ გვინდაო. აბა!

„უნდა ვუჩივლო. იმიზა, მივდივარ ახლა ქუთაისში. როგორ ფიქრობთ, ვერ მოვიგებ საქმეს?..ასეა, ქვეყანა გადაბრუნდა, დღეს შენი საკუთრება სიმართლით და კანონით უნდა ეძიო ადამიანმა. გაგონილა?

„ჰა, ვერ მოვიგებ? განმიმეორა კითხვა.—„ძნელი საქმეა“, მოკლედ ვუპასუხე მე.—„ასეა, ბატონო, ასე! განა არ ვიცი? მითხრა გულმოსულად: მერე მიწა რომ წამართვან, სიმშილით უნდა მოვკვდე? ღმერთი არ არის? ცოდვა არ არის? სამართალი არ არის დედა მიწაზედ?... ყაჩაღობაა განა?

„მოვიდეს გლეხი, იმუშაოს; მიწას მივცემ, უარს ხომ არ ვეუბნები. იმუშაოს, ნახევარი მე მომცეს, ნახევარი თვითონ წაიღოს, მეტი რა უნდა ყაზახს! ახლა მეც ხომ ვერ ვიმუშავებ!.. მარა, გლეხი კაცი დღეს გამამაძღლდა, თავი წამოყო ზევით, ბევრი მოინდომა. პატარას კი არ სჯერდება, ბევრი და ბევრიო! იიიმე!

„—ასეა ცხოვრების კანონი, დავანუგეშე: განა ბატონ-ყმობა სჯობდა?“

„ოო! როგორ გეკადრებათ! თქვენ განათლებული კაცი ბრძანდებით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილი სიყვარული, ძმობა და ერთობა მაშინ იყო. თავად აზნაურს გლეხი უყვარდა და გლეხს თავადი და აზნაური. გლეხი კაცი მაშინ ერთგული იყო, გამტანი, სინიდისიერი, ზრდილობიანი: ახლა?...“

სიტყვა აღარ დაამთავრა ჩემმა მოსაუბრემ.

„არა, დაიწყო ცოტა ხნის უკან: ჩვენი თავად აზნაურობის საქმე ხელიდან წასულია; თავად აზნაურობა წახდა, გაფუჭდა. მიწა მას დაეკარგა, ჭკუა და ყველაფერი. დაღუპულია, დაღუპული!

„ახლა კიდევ ქალაქში იარაღი აყარესო თავად-აზნაურობას. აქაც თუ ისე იქნა, მთლად დაგვმაეთ და ის არის. ხმალი, ბატონო, აზნაურის ჩინია, ღირსებაა. უხმლოთ იგი რა კაცია? თავი რომ მოიკლას, ურჩევნია. ძველ დროში კაცს აზნაურობას ან თავადობას რომ წაართმევდნენ, ხმალს გადაამტვრევდნენ თავზე“.

„ა, ვაი ჩქინი ცოდა (ვაი, ჩვენი ცოდვა)!“ წამოიძახა ძალზე გაჯავრებულმა თავადმა და გაჩუმდა.

მალე ისევ გამოელაპარაკა ერთს მგზავრს და გურიის ამბები გამოკითხა. ამან მთლად დაანაღვლიანა; ჩაფიქრდა, ხონში ჩასვლამდის ხმა არ ამოუღია, შორს წაეტაცა ფიქრებს ღმერთო ბარე ორჯერ დასტვინა იმგვარად, თითქოს მკძებრებს ეძახისო....

იმავე გზაზე ვნახე შემდეგ მეორე ტიპიც. ეგ იყო ჩახატაურელი გლეხი. ახლაც დილიჟანსში ვიჯექი და საათს დავხედე. ჩემს პირდაპირ ერთი გლეხი იჯდა და მკითხა: რომელი საათიაო, მაგრამ ისე თამამად და გაბედულად, რომ მე მეწყინა: ეს ვიღაცაა, როგორ მელაპარაკება, თითქოს მისი ტოლი ვიყო მეთქი კარგად ავხედ დავხედე: მოკლე შალის ჩოხა ეცვა, დახეული ახალუხი, ფეხებზე რამდენსამე ალაგას დაკერებული წუღა, მოშვებული წვერი ჰქონდა და დაუვარცხნელი თმა, თავი შინაურის ბაშლაყით შეეკრა.

თვითონ დამიწყო პირველად ლაპარაკი შევყევით და საათზე მეტს ვლაპარაკობდით დღიურ საჭირბოროტო საგნების შესახებ. საუბედუროდ, მე არ შემიძლია, გადავცე მკითხველს ჩვენი საუბარი. მე მაოცებდა ჩახატაურელი გლეხის სიტყვები, არა მჯეროდა, რაც ყურით მესმოდა, და სიხარულით ვეკითხებოდი ჩემს თავს:

ნუ თუ ჩვენში არიან ასეთის მოწინავე აზრების და ღრმა რწმენის გლეხები?...

* *

მე არასოდეს არ დამავიწყდება ეს ორი არსება. მათ დამიხატეს წინ დღევანდელი ცხოვრების ვითარება. ერთი წარსულის დროის ნაშთია და უკან იცქირება, მეორე ახალის ჩანასახია და თავის სასოებას და ძალას მომავალზე ამყარებს.

რაც უნდა სთქვას თავადმა, არ უნდა გაგვიკვირდეს, ცრემლები მისთვის აქვს, რომ თავისი მწუხარებას დასტიროს. მოვა ახალი ცხოვრება, გაშრება ცრემლებიც.

მაგრამ რა ვსთქვათ იმ „მეცნიერებაზე“, რომელსაც „მეცნიერულად“ უნდა დაასაბუთოს თავადიშვილური აზრები? როდესაც ბ.ბ. მეშჩერსკი, გრინგმუტი, პალმი და ძმანი მათნი ყოვლად მახინჯს და უკუღმართს აზრებს ჰქადაგებენ, ეს სამწუხაროა, მაგრამ გასაკვირველი არ არის: პოლიციელ ჯაშუშად ნამყოფს და საოპერეტო გმირს ბევრი არა მოეთხოვება-რა. მხოლოდ quod licet bovi, non licet iovi.

კათედრაზე გამოდიან პროფესორები, სხვადასხვა მეცნიერულის ხარისხებით დაჯილდოვებულნი და წარბ შეუხრელად, დინჯად ქურუმთასებურად გვეუბნებიან: დასაბამიდან ერთი არის და იქმნება ბუნების კანონი: ადამიანმა ადამიანს უნდა გამოჰგლიჯოს პირიდან ლუკმა, და ვისაც ეს არ შეუძლიან, იმას ცხოვრების უფლებაც არ აქვსო.

ბრძოლა არსებობისათვის! ვაიძახიან: ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია (არ იმარჯვებენ სუსტნი, მაგრამ გაიძვერანი?) გამარჯვებულნი მდიდრები არიან, დამარცხებულნი ღატაკები, მაშ ქვეყანა მდიდრებისაა! მდიდარი და ჭკუიანი, ნიჭიერი ერთი და იგივე სახელია. აიღეთ და შეადარეთ ერთმანერთს მდიდრები და ნიჭიერები: გენიოსი ძლიერ ცოტაა დედა მიწაზე, მეტია დიდი ჭკუის პატრონი,

ბურთის თავში იქნება. გთხოვთ ეხლავე დაასახელოთ, რომელი გზები უნდა შეკეთდეს და როგორ.

გ. მადკეძე იმ აზრისაა, ასე ნაწილ-ნაწილად გზების გაკეთება ძლიერ დაგვიანდება და ბევრი ზარალი მოგვეცემა; უმჯობესია, რომ გზები ერთბაშად შეკეთდეს. თუმცა ჩვენ ამისათვის საჭირო ფული ერთად ხელთ არა გვაქვს, მაგრამ მიმართვით საკრედიტო დაწესებულებათ ალბათ იქნება მოგვცენ სესხად 100—200 ათასი მანეთი.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ზოგგან რომ გზა-ტკეცილები გავაკეთოთ და სხვა გზები უყურადღებოთ დავტოვოთ, ამით ხომ საბაბს მივცემთ ზოგიერთ [illegible] ჩვეულებრივ გოჯობით ხიმონ [illegible]. ინჟინერის სახარჯვის გამოანგარიშებით ქუთაისის გზების გაკეთებას ერთბაშად დასჭირდება 600,000 მანეთი, მაგრამ აქაც ბევრი გზა გამოტოვებულია. ამდენი ფული კი ჩვენ ერთად საიდან უნდა ვიშოვოთ. თუ საკრედიტო ბანკებს მივმართეთ მოკლე ვადიან სესხისთვის, ჩვენ ვალის სარგებლის გასტუმრებასაც ვერ მოვახერხებთ; გრძელ ვადიან სესხს კი ეს ბანკები არ მოგვცემს. გრძელ ვადიან სესხს სადგილ-მამულო ბანკი იძლევა, მხოლოდ გზებისთვის კი არა მივმართავდით ფინანსთა სამინისტროს, მაგრამ არავითარი იმედი არაა, რომ მან ჩვენი შუამდგომლობა შეიწყნაროს; ბეთლისათვის ჯამაგირი ვთხოვეთ და მაზედაც უარი გვითხრეს, თორემ 600,000 მანეთი რომ ვსთხოვოთ, მარტო სასაცილოდ აგვიგდებენ.

თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა რამდენისამე წამით, რომ კრებას დაესახელებინა, რომელ გზას უფრო ესაჭიროება ეხლავე შეკეთება. კრების განახლების შემდეგ ბ-ნმა ემერიკმა წარმოადგინა სია, რომელშიაც ნაჩვენები იყო 14 გზა. კრებამ ისევ უმჯობესად სცნო კომისიის არჩევა, რომელსაც დაავალა, ადგილობრივ გასინჯოს ყველა გზები და აღნიშნოს, რომელს უფრო ადრე ესაჭიროება გაკეთება.

კრებამ მიიღო ბ-ნ ემერიკის წინადადება და გზებისა და ხიდების შესაკეთებლად გადასდო 20,000 მანეთის მაგივრად 37,500 მანეთი.

XI. **აბანო, ელექტრონული განათება, წყალსადენი და ყინვის საკეთებელი მანქანა. მოსამსახურეთა ჯამაგირები:** ისევ პროექტში ნაჩვენები დარჩა 14,100 მან.

XII. **სამკურნალო ნაწილი:** 19,094 მანეთის ადგილზე დასტოვეს 15,240 მან.

XIII. **სანიტარულ ნაწილისთვის** გადადო 3.460 მანეთის მაგივრად 3 060 მან.

XIV. **სანათლო ნაწილისთვის** დარჩა ისევ პროექტის რაოდენობა 3,080 მან.

XV. **ღამის მოსამსახურეთ** (რომელნიც 1000 მანეთზე ნაკლებს იღებენ) **შემწეობა და საჩუქარი:** პროექტში ნაჩვენებ 2000 მანეთის ნაცვლად მიიღეს 1,000 მან.

XVI. **პოლიცია:** 2 344 მანეთის ნაცვლად გადასდეს 1,944 მან.

XVII **მუშების დაზღვევა და საპენსიო კასა** 6 600 მან.

XVIII **ქიმიურ ლაბორატორიის შენახვა** 5,000 მანეთი.

XIX. **სტიპენდიების დასაარსებლად** პროექტით დანიშნული იყო 2 840 მანეთი; ზოგიერთებმა წინ დადება შეიტანეს, რომ 5 000 მანეთი გადადებულიყო ამ საგნისათვის; მაგრამ, რადგანაც ჯერ არ შეიძლებოდა გამორკვევა, დარჩებოდა თავისუფალი ფული თუ არა, კრებამ ეს კითხვა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასრულებამდე გადადო.

XX **სწავლა-განათლების გამავრცელებელი დაწესებულებანი:** პროექტით ამ საგნისთვის გადადებული იყო 14,200 მან., ხოლო კრებამ ეს რაოდენობა შეამცირა 6,700 მან.

### ერთდროული ხარჯები.

XXI **სამკურნალო ნაწილი:** პროექტით იყო 52,200 მან., კრებამ გადაწყვიტა 41,700 მან.

XXII. **წყალსადენის დამთავრება:** ისევ პროექტის რაოდენობა დარჩა 2,800 მან.

XXIII. **საგზაო ნაწილი:** 17,500 მანეთის ნაცვლად მიღებულ იქნა 12,500 მან.

XXIV. **შენობები:** რადგან მდგომარე წლის განმავლობაში ვერ აშენებენ ქუთაისში ვერც სახალხო სახლს და ვერც მრეწველთა საბჭოს სადგომს, ამიტომ ეს ხარჯი პროექტიდან გამოტოვებულია.

XXV. **ტეხნიკური განყოფილება:** საზეინკლო (პროექტის) 4,800 მანეთი.

XXVI. **1903 წლის 1 იანვრამდის გადაუხდელი აბანოს ასაშენებელი ხარჯი** (პროექტის) 8,000 მან.

XXVII. **ქიმიურ ლაბორატორიის გამართვა და მოწყობა** (პროექტში ნაჩვენები) 20,000 მან.

ამით გათავდა სხდომა და გადაიდო 31 იანვრის დილის 10 საათისთვის.

### 31 იანვარი

სხდომა $11^1/_2$ საათზე დაიწყო. მცირე კამათის შემდეგ ოქმი დაამტკიცეს.

ა. მ. კრონიცკი: რამდენსამე კაცს ჰსურს სიტყვა მოგახსენოთ, მაგრამ რუსული არ იციან და მე დამავალეს მოგახსენოთ შემდეგი: რადგან ჩვენ რუსული არ ვიცით და ხეირიანად არ გვესმის მსჯელობა, რაც ჩვენთვის ძლიერ საინტერესოა, გთხოვთ ამ კრების შრომა ქართულად დაიბეჭდოს.

ბ-ნი საპიცკი სთხოვს თავმჯდომარეს შეეკითხოს კრებას, რამდენია ისეთი, რომელთაც რუსული არ იციან.

კრონიცკი: ძლიერ ბევრია აქაც და გარედაც, რომელთაც ძლიერ აინტერესებთ ქუთაისის საქმეები. იქნება, ზოგიერთნი ახერხებდნენ რუსულად ლაპარაკს, მაგრამ მსჯელობა და ოქმების შინაარსი კარგად არ ესმით.

თავმჯდომარემ განაგრძო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. წინა დღეს სტიპენდიები გამოსტოვეს. პროექტში შეტანილი იყო სტიპენდიებისათვის 2480 მან.; ზოგი თხოულობდა 5,000 მანეთის დანიშვნას; ზოგიც—7480 მანეთისას.

კნ. გ. წერეთლისა: გუშინ სტიპენდიების განხილვა იმისთვის გადასდეს, რომ არც თხოვნები იყო განხილული და არც სტიპენდიების დასაარსებელ ფულის რაოდენობის განსაზღვრა შეიძლებოდა. საჭიროა, ჯერ თხოვნები განვიხილოთ: მთხოვნელთა რიცხვში იქნება ისეთებიც ერიონ, რომელთაც კრება უსათუოდ დააკმაყოფილებს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: რასაკვირველია, სტიპენდიების წინააღმდეგი არავინ იქნება, მაგრამ ჯერ ჯერობით ხარჯი 40 ათასი მანეთით მეტია შემოსავალზე. საჭიროა, როგორმე ხარჯები შევამციროთ.

ფ მ. კიკნაძე: შეიძლება საავადმყოფოს აშენება ერთის წლით გადავდოთ; ჩვენ მდიდარი ფანტაზია გვაქვს: ან უსათუოდ ერთბაშად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, ან სრულიად არაფერი გავაკეთოთ. ეხლანდელი საავადმყოფო მაინც ხომ უნდა შეკეთდეს და ერთ-ორს წელს შეგვიძლიან იმით დავკმაყოფილდეთ. საავადმყოფოს ასაშენებელ ფულით კი ეხლა სხვა უფრო საჭირო მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთ.

ბ. ბ. ემერიკი: საავადმყოფოს აშენების გადადება ყოვლად შეუძლებელია. როგორც გამოირკვა, ძველი საავადმყოფო ისეთს ცუდ მდგომარეობაშია, რომ, რამდენიც უნდა დაახარჯო, მაინც არ შეიძლება მისი გასწორება. არ შეიძლება ყველა ავადმყოფები, გადამდებ სენით შეპყრობილნი და ისე დაშავებულნი, ერთად იყვნენ არეულნი. თუ გადადება გნებავთ, საქიმიო ლაბორატორიის აშენება გადადევით, რომელიც ფუფუნება უფროა, ვიდრე მიუცილებელი საჭიროება.

ბ-ნი მოსეშვილი უმჯობესად სცნობს გადაიდოს ერთის წლით მუშების სადგომების აშენება.

ნ. გ. ჭიჭინაძე: გვეუბნებიან, საქიმიო ლაბორატორია ავაშენოთ და მუშების სადგომების შენება კი გადავდოთო. ლაბორატორია, რასაკვირველია, ძლიერ სასარგებლო რამეა და მე, როგორც ქალაქის საბჭოს ხმოსანი, არასოდეს არ ვყოფილვარ იმისი წინააღმდეგი; მაგრამ ლაბორატორიის აშენება შეიძლება გადაიდვას ერთის წლით. სამაგიეროდ ყოვლად შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ მუშები, რომელნიც ბაგაში ცხოვრობენ პირუტყვებთან ერთად; ამერიკაში პირუტყვებიც კი იმათზე უკეთესად სცხოვრობენ. მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სადგომებისა და საავადმყოფოს აშენება.

მღ. მ. ჭელიძემ ითხოვა ქუთაისის ეკლესიის დასამთავრებლად გადაედო კრებას ფული.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მრეწველთა მესამე კრებას არ უკისრნია ეკლესიის აშენება; იმან მხოლოდ დაადგინა ეკლესიის ასაშენებლად 5000 მანეთი შესწიროს, და ეს ფული უკვე მიეცა ამშენებელ კომიტეტს. ეკლესიის აშენება მარტო მრეწველთა მოვალეობას არ შეადგენს. ასე ვფიქრობდით მესამე კრებაზე და ეხლაც ასე ვფიქრობთ; ყველამ უნდა გაიღოს თავისი წვლილი. ეკლესია შენდება შემოწირულებით და არა მარტო კრების საშუალებით. ამის შესახებ მისმა უსამღვდელოესობამაც მკითხა, კრება კისრულობს ეკლესიის აშენებას, თუ არაო, და მე კატეგორიულად უარი ვუთხარი. ეკლესიის დამთავრებას კიდევ 25 ათასი მანეთი სჭირდება და კრებას სად აქვს ამდენი ფული.

კრებამ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, მიიღო თავ. პ. გ. წულუკიძის წინადადება: 10,000 მანეთი მოაკლდა საავადმყოფოს ასაშენებლად გადადებულ ფულს, 10.000 მან. ლაბორატორიის ასაშენებელ თანხას და 5000 მ. იმის წლიურ ხარჯს, 10,000 მანეთი მოაკლეს მუშების სადგომების ასაშენებელ თანხას. ამგვარად მდგომარე წლის ხარჯი შემცირდა 35,000 მანეთით დარჩა 230,000 მანეთი (ამაში შედის სტიპენდიებისათვის 5,000 მანეთი და გეგმების შემდგენელთა დასაქირავებელი 6000 მანეთი), რომელიც უდრის მდგომარე წლის შემოსავალს.

დ. ნ. ბაქრაძემ სთხოვა საზოგადოებას ქუთაისში გაზეთის გამოსაცემად გადაედო ფული. გაზეთში იქმნება სამთო განყოფილება, ასე რომ შავი-ქვის მრეწველთათვის ბევრი საჭირო ცნობა იქმნება მოთავსებული; შუამდგომლობა უკვე აღძრულია და, იმედიცა გვაქვს, შეიწყნარებენო.

თავ. პ. გ. წულუკიძე: დ. ნ. ბაქრაძის წინადადება მეტად სიმპატიურია, მაგრამ ეხლა დიდის გაჭირვებით შევუთანასწორეთ ერთმანეთს შემოსავალი და ხარჯი; ამიტომ წელს არ შეგვიძლია რამე გადავდოთ გაზეთისათვის.

ა. მ. კრონიცკი: ჩვენში ერთი მეტად სიმპატიური დაწესებულებაა, რომელსაც ჰქვიან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ჩვენი ზნეობრივი

---

თარს სახლში გადავიდა. საკამათო დარბაზის თეთრად შეღებილ კედლებს ჯერ არა სმენია არც ერთი მკვახე სიტყვა, არ იცის ამ დარბაზმა, რა არის აღშფოთებული ადამიანი... ორ მოვერცხლებულ ბუხარში ცეცხლი სასიამოვნოდ გუზგუზებდა. მოწაფეების პარტებზე წყვილ-წყვილად ისხდნენ ხმოსნები და ისეთი სიჩუმე სუფევდა, როგორც გინახავთ კარგ გაწვრთვნილ კლასში. როგორც სიაში მოხსენებული იყო, ხმოსნებს უნდა აერჩიათ ოციოდე კომისია და შემდეგ მშვიდობით შინ დაბრუნებულიყვნენ. დადგეს ყუთები, ნახევარზე მეტი კიდეც ამოარჩიეს. ჯერი მიდგა დამფასებელ კომისის წევრების ამორჩევაზე. მაგრამ ბ-ნმა გაიდებუროვმა სხვა-და-სხვა მოსაზრებით მოითხოვა ინსტრუქციის იმ მუხლის შეცვლა, რომელიც ნებას აძლევს საბჭოს დამფასებლად არა ხმოსანი მოიწვიოს. ხმოსანმა ჯაყელმა სამართ-
შნიშნა, რომ ახლა გვიან არის
ყუთი დადგმულია და კენ-
თიანთ შემდეგ კრე-
ვანცხადდება ინს-
ო. მაგრამ თა-
ინებლად, მა-
რით ამ საკი-
ის წინადა-
მა კომი-
დასთა-
ოდ 11
ომდეგი
ისი აღ-
ვა ბ-ნი
ცნობილი
რთის მას

სიტყვით, „Бабка за рѣпку, жучка за бабку...“ ამაოდ მიჰყვიროდნენ, ბატონებო, სხვა კომისიებიც არის ასარჩევი, მობრძანდით, ნუ დაგვტოვებთო. მაგრამ წავიდნენ!

როგორ მოგწონთ ეს საქციელი განათლებულ ინჟინერისა? თქმა არ უნდა, სულაც რომ წავიდეს საბჭოდან ეს „სასარგებლო“ ხმოსანი, არავინ არაფერს წააგებს, მაგრამ საყურადღებოა, როგორ თავისებურად ესმით კენჭის ყრის, ანუ, როგორც აქ იციან, „ბალატირავკის“ პრინციპი: face—je gagne, pile—tu perds.

ჩვენი ქალაქის მოურავი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება. 16 იანვარს საგანგებო კრებაზე საბჭომ გადასწყვიტა წარმომადგენლის გაგზავნა სანავთ-სადგურო კომიტეტში დასასწრებად, რომელიც 18 იანვარს დაიწყებდა თავის სხდომებს. მოგეხსენებათ, რომ ბათუმს დიდი ზიანი მისცა ეგრედ წოდებულ სანავთ-სადგურო გადასახადის რეფორმამ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინად მოხდა. ყოველ ფუთზე, რომელიც კი ბათუმის ნავთსადგურში გაივლიდა, კაპეიკის $^1/_5$ უნდა ქალაქის სასარგებლოდ გადაეხადათ. რეფორმის შემდეგ კი ეს ფული ხაზინაში მიდის და კომიტეტი განაგებს. იგი ეხმარება ქალაქს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს თვით ნავთ-სადგურის გაუმჯობესების ინტერესი, ან რაიმე დამოკიდებულობა აქვს ნავთ-სადგურთან. მაგ. ელექტრონით განათება იმ ქუჩებისა, რომელიც ნავთ-სადგურისაკენ მიდის, მოკირწყვლა, ბათუმის ახლო ჭაობების დაშრობა და სხვას ეს თანხა ამ ჟამად 700. 000 მანეთამდე ავიდა და სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ინახება. წელსაც ჩვეულებრივ აღძრული იყო სხვა და სხვა თხოვნა და, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ქალაქის ინტერესის დამცველი დაესწროს სხდომას. ზოგმა სთქვა, რა საჭიროა კაცის გაგზავნა, დეპეშებით შევეხვეწოთ თავ. გოლიცინს და დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზისძეს, რომ დახმარება აღმოგვიჩინონო. მაგრამ უმეტესობა სხვა აზრისა იყო. სხვათა შორის, ერთმა ხმოსანმა ასეთი არგუმენტი მოიყვანა, საჭირო რომ არა ყოფილიყო ნ. ნიკოლაძე არ წავიდოდაო.

20 იანვარს მორიგ საქმეთა შორის საბჭომ გადასწყვიტა, რომ ჯამაგირი ქალაქის მოურავისა, იმის მოადგილისა, ერთის წევრისა და მდივნისა იგივე დარჩეს.

იმავე სხდომაზე საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება მომავალი იუბილეს ღირსეულად გადახდისა. წელს, 25 აგვისტოს, 25 წელიწადი სრულდება, რაც რუსმა ბათუმი აიღო. ამ დღის სადღესასწაულოდ 1901 წელს კომისია იყო არჩეული, რომელმაც შეიმუშავა თეატრისა და საჯარო ბიბლიოთეკის პროექტი. ბიბლიოთეკა უკვე არსებობს ქალაქის სახლის სადგომში. თეატრის გეგმაც შემუშავებულია. გ. ვოლსკის წინადადებით წრევანდელ ხარჯ-აღრიცხვაში შეტანილია ორი საიუბილეო სკოლა ქალებისა და ვაჟებისა. თვითონ ქალაქის მოურავმა კი წინადადება მისცა საბჭოს სახალხო სახლისა და ღამის თავშესაფარის დაარსების შესახებ. იმან საკმაოდ ვრცელი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია ბათუმისთვის ერთიცა და მეორეც. ბათუმი ნამდვილი მრეწველი ქალაქია, მუშა ხალხი 20—25% შეადგენს. აქ არ არის არც იაფი სასადილოები, არც სხვა რამ გონების გასართობი დაწესებულება მშრომელ ხალხისათვის. ამიტომ სახალხო სახლის დაარსება დღეს აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა. ამ საქმის განხორციელებისათვის ყველაზე უფრო დაინტერესებულია ქარხნები და იმედია, რომ კიდეც დაეხმარებიან ფულით, მიწას კი თვით ქალაქი დაუთმობს. რაც შეეხება ღამის თავშესაფარს ესეც აუცილებელი საჭიროებაა, რადგან, როგორც ყველა ნავთ-სადგურიან ქალაქში, ბათუმშიაც მრავალი უსახლკარო, მოსული ხალხი ტრიალებს და არ იცის, ღამე სად გაათიოს. რადგან უპირველეს ყოვლისა ეს თავშესაფარი ნავთ-სადგურის მოთხოვნილებას ემსახურება, ამიტომ ხარჯიც სანავთ სადგურო თანხამ უნდა იკისროს და თვით სადგომიც ნავთ-სადგურის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს. ასეთი იყო ქალაქის მოურავის საზოგადო მოსაზრებანი. ორიოდე უმნიშვნელო შენიშვნის შემდეგ, საბჭომ ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა, ჩაიბაროს წინანდელ კომისიისაგან რაც უკვე დამზადებულია და შეუდგეს საიუბილეო პროგრამის შედგენას და ხსენებულ პროექტების შემუშავებას.

1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი უკვე წარუდგინა საბჭოს, რომელმაც იგი გადასცა განსახილველად საბიუჯეტო კომისიას. როგორც ქალაქის მოურავის სიტყვებიდან სჩანს, ხარჯი 45 ათასით აღემატება შემოსავალს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ სანავთ-სადგურო კომიტეტი მისცემს ნათხოვნ ფულს და ამ გვარად გადამეტებული ხარჯი დაიფარება.

ნი.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ კვირას, 26 იანვარს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელმა იდღესასწაულა დავით აღმაშენებლის ხსოვნა. სასწავლებელთან არის „ძმობა“, რომელიც დაარსებულია ამ მეფის სახელზე ამავე სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. მწირველი ბძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდი. წირვის შემდეგ მისმა მეუფებამ სიტყვით მიჰმართა მოსწავლეებს, დაუხატა ჩვენის სამშობლოს მდგომარეობა დავით მეფის წინა დროს, როგორ აამაღლა და გაამშვენა ეს მხარე ამ მეფემ, რა თვისებით და ხასიათით იყო შემკული იგი და სხვა. შემდეგ გაიმართა აქტი, რომელზედაც ერთმა მასწავლებელმა წაიკითხა მოკლე ანგარიში ძმობისა. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები ქართულადაც და რუსულადაც.

## რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რომ იმ ქალებმა, რომელნიც საეპარქიო სასწავლებელში დაამთავრებენ სწავლას და გიმნაზიის მეშვიდე კლასში მოისურვებენ შესვლას, დაიჭირონ ეგზამენი გიმნაზიის ექვსის კლასის საგნებისა, გარდა სამღვთო წერილისა.

◆ პეტერბურგში არსებობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეხლა-ხან ამ საზოგადოებას გადაუწყვეტია 1904 წელს მოახდინოს კრება იმ საზოგადოების წარმომადგენელთა, რომელთაც აზრადა აქვთ ხალხში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება. კრება ოთხ სექციად იქმნება გაყოფილი. აი ის საგნები, რომელიც სექციებმა უნდა განიხილონ: პირველმა—სახალხო სკოლები, საღამოს და საპროფესიონალო კურსები; მეორემ—სწავლა-განათლება სკოლის გარეშე, წიგნთ-საცავები და სამკითხველოები; მესამემ—სახალხო წიგნების გამომცემლობა და ვაჭრობა; მეოთხემ—სახალხო თეატრი და კითხვები. თვითეულ საზოგადოებიდან უნდა დაესწროს კრებას ერთი, ორი ან სამი წევრი.

◆ დღეს, 2 თებერვალს, უნდა აკურთხონ მოსკოვში ადგილობრივ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ აგებული სახალხო სახლი. დაჯდა ეს სახლი 160,000 მანეთად. სახლი შეიცავს დარბაზს 1000 კაცისათვის, დიდ სცენას წარმოდგენებისათვის, მეორე დარბაზს კითხვებისათვის, სადგომებს წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსათვის. სახლი ელექტრონით არის განათებული.

◆ მთავრობას აზრადა აქვს შესცვალოს ის სახელოსნო წესდება, რომელიც დღეს მოქმედებს. ჰფიქრობენ ხელოსანთა ამქრებში ჩარიცხონ: ქვის მთლელნი, მიწის მთხრელნი და სხვანი.

◆ 1897 წელს მოხდა საზოგადო აღწერა რუსეთისა და მასალა ჯერაც არ შეუმუშავებიათ სავსებით და არ გამოუქვეყნებიათ. დღემდე შეუმუშავებიათ მხოლოდ მასალა ხუთის გუბერნიისა. დარჩა შიდა რუსეთის 29 გუბერნია, ციმბირი, კავკასია და საშუალო აზია.

◆ ფინანსთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული ქარხნების მუშათათვის მოძრავ სკოლების დაარსების შესახებ.

◆ ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზებზე ისინი, ვინც უბილეთოდ მგზავრებს ეზიდებიან, სისხლის სამართალში იქმნენ ხოლმე მიცემული.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრება

### 29 იანვრის სხდომის გაგრძელება*)

თავმჯდომარე: იწყნარებს კრება, თუ არა ბ-ნ საპიცკის წინადადებას გეგმების გადამღებთა დაქირავების შესახებ?

კრებამ პრინციპიალურად მიიღო ეს წინადადება, მხოლოდ მის განსახორციელებლად ამოირჩია კომისია, რომელშიაც მოხვდნენ: ზ. ი. ოჰანეზოვი, ვ. ცერცვაძე, ჯ. იაშვილი და ს. ი. წერეთელი.

თავმჯდომარე გადადის მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განხილვაზე; მაგრამ, სანამ ამას შეუდგებოდეთო, ამბობს ის, საჭიროა სხვა-და-სხვა პირთაგან შემოტანილი თხოვნები განვიხილოთ; მხოლოდ, რადგანაც ბევრი თხოვნაა შემოტანილი და მათი წაკითხვა ბევრს დროს წაგვართმევდა, ჩვენ ამოვწერეთ მთხოვნელთა ვინაობა და ვინ რას თხოულობს, და ეს იქნება ეხლა წაკითხულიო. ბ-ნი ზდანოვიჩი საჭიროდ ნახულობს ჯერ ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი იქმნეს განხილული და მხოლოდ შემდეგ, თუ თავისუფალი ფული დაგვრჩება, შევუდგეთ თხოვნების განხილვასო. კრებამ მიიღო უკანასკნელის წინადადება და სთხოვა თავ. პ. გ. წულუკიძეს წაეკითხა თავიდან წინა დღით კერძო სხდომაზე განხილული ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

**მუდმივი ხარჯები:**

I. სავალდებულო ხარჯები: უცვლელად დარჩა, როგორც პროექტში იყო, ე. ი. 15,412 მ.

II. კრების ხარჯები: პროექტში ნაჩვენებ 2300 მ. მაგივრად კრებამ დაადგინა 2,000 მან.

III. საბჭოს მოსამსახურეთა ჯილდო: ნაცვლად 19,040 მანეთისა კრებამ მიიღო 16,860 მან.

IV. კრების საბჭოს შენახვა: 13,650 მანეთის ნაცვლად მიღებულ იქმნა 11,000 მან.

პროექტის ამ თავის განხილვამ დიდი კამათი და კინაღამ შეტაკებაც გამოიწვია.

ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში მოულოდნელ ხარჯებად ნაჩვენებია 5000 მან. ბ-ნს ემერიკს ეს რაოდენობა ძლიერ ედიდება: „სხვაგან მოულოდნელ ხარჯებად საზოგადოდ მთელ გასავლის 1—2% იღებენ, ჩვენ კი მთელი 12% გვინდა ავიღოთ; თუ ჩვენც სხვებს მივბაძავთ და 2%-ს ავიღებთ, მაშინ 2000 მანეთი დაგვჭირდებაო“. ბ-ნს ემერიკს ეთანხმებიან ნ. გ. ჰიჰინაძე და პ. გ. მდივანი.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: ბ-ნს ემერიკს პროცენტულის ანგარიშით შეცდომაში უნდა შეიყვანოს კრება. სხვაგან თუ 1—2 პროც. იღებენ მოულოდნელ ხარჯებად, იქ შემოსავალიც დიდია; ერთი მილიონის 1—2% და 160 ათას მანეთისა ერთი და იგივე არაა. მე არ ვამბობ, რომ მაინცა-და-მაინც დაიხარჯება 5000 მანეთი-მეთქი, მაგრამ, ვინ იცის, იქნება მეტიც დაიხარჯოს. მოულოდნელი მისთვის ჰქვია ამ ხარჯებს, რომ მათი გათვალისწინება არ შეიძლება. თუ არ დაიხარჯება ეს ფული, ხომ ისევ ჩვენ დაგვრჩება! რომ არ გვეყოს 2000 მანეთი და იძულებული გავხდეთ მეტი დავხარჯოთ, მაშინ წამოვლენ ეს ვაჟბატონები და ერთს ამბავს დააწევენ, საბჭომ კრების ნება დაურთველად დახარჯა ფულიო.

კრებამ მოულოდნელ ხარჯებად ისევ 5000 მანეთ დასტოვა.

V. სტატისტიკური ბიურო: 5300 მანეთის ნაცვლად მიღებულ იქმნა 3700 მან.

VI. გვირაბებისა და ბაქნების გამწესებელ კომიტეტის წევრთა ჯილდოდ დარჩა პროექტში ნაჩვენები 600 მან.

VII. საბჭოს გამოცემანი: 2000 მანეთის ნაცვლად მიიღეს 1000 მან.

VIII. საბჭოს სადგომი და შენახვა ჭიათურაში: 1980 მანეთის ნაცვლად 840 მან.

სხდომა გადაიდო 30 იანვრისთვის.

### 30 იანვარი

სხდომა დილის 11 საათზე იწყება. ჩვეულებრივის ფორმალურ წესის შესრულების შემდეგ თავმჯდომარე სთხოვს თავ. პ. გ. წულუკიძეს განაგრძოს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის კითხვა.

IX. ტეხნიკური განყოფილება. მოსამსახურეთა ჯილდო: 11,920 მანეთის მაგივრად დაინიშნა 7,220 მან.

X. გზებისა და ხიდების შეკეთება: ამ კითხვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია.

ბ. გ. ემერიკი: კრების ყველაზე უფრო კითხვა გზებისა და ხიდების შეკეთება ან ახლების გაკეთებაა. ამდენ ხანს ჩვენ არავითარი გეგმა არ გვქონდა, თუ როგორ უნდა გვეკეთებინა გზები, და სწორეთ ესაა [illegible], რომ ისინი ასეთს ცუდს მდგომარეობაში არიან. ეხლა მოუცილებელი საჭიროა, რომ შევიმუშავოთ პრინციპი, რომლითაც მუდამ უნდა ვხელმძვანელოთ გზების კეთების დროს. იქნება სთქვან, მომავალი კრებები ჩვენგან შემუშავებულ პრინციპს არ დაეთანხმებიანო, მაგრამ ჩვენ ამის გამო არ უნდა შევჩერდეთ. ჭიათურაში უმთავრეს გზების სიგრძე 30 ვერსზე მეტი არ იქნება; თითო ვერსს გზა-ტკეცილს დასჭირდება 5000 მანეთი, ე. ი. 30 ვერსს სულ 150,000 მან. რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ამდენი ფული ერთბაშად გადავდოთ, ამიტომ ეს რაოდენობა გავყოთ ოთხ ნაწილად და თითო წელს გადავდოთ გზა-ტკეცილებისთვის $37^1/_2$ ათასი მანეთი. მხოლოდ ისე კი უნდა მოვიქცეთ, რომ პირველად ის გზები გავაკეთოთ, რომელნიც უფრო საჭირონი არიან; ასეთებია, მაგალითად, შუქრუთის გზა, ჭიათურამდის, რომლითაც პირადად მე იმდენად დაინტერესებული არა ვარ, მაგრამ უმეტესობისათვის ძლიერ საჭირო გზაა: ამ გზით ყოველ წელს 6—7 მილიონ ფუთ ქვას მიზიდავენ; ამას მოჰყვება წირქვალის გზა, შემდეგ ზედა-რგანის და სხვ. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, თუნდ ამით სხვა ხარჯების რაოდენობა კიდეც შემცირდეს, უსათუოდ $37^1/_2$ ათასი მანეთი უნდა შევიტანოთ.

თავ. პ. გ. წულუკიძე იმის გამოსარკვევად, თუ რომელია უმთავრესი გზები და რომელი მეორე ხარისხოვანი, საჭიროდ ნახულობს ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელშიაც შევლენ ყოველი უბნის წარმომადგენელნი.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: რომ მომავალი საბჭო ჩვეულებრივ საყვედურებისაგან განთავისუფლდეს, გთხოვთ ეხლავე დაასახელოთ, რომელია უმთავრესი გზა და რომელი მეორე ხარისხოვანი: ჩვენ ბევრ მრეწველთაგან მოგვდიოდა თხოვნები, გზები გაგვიკეთეთო, მაგრამ საბჭომ გუსტავ გუსტავის ძის წინადადებით თხოვნები უყურადღებოდ დასტოვა, რადგან ყველას დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა და, რომელი დაეკმაყოფილებინა, ის კი არ იცოდა; მან არჩია ეს კითხვა კრებას გადმოსცემოდა; ეხლა კრება ისევ კომისიას და საბჭოს უბრუნებს მას გასარჩევად. ეს, ბ-ნ ემერიკის ამასწინდელ თქმისა არ იყოს, საბჭოსა და კრების შუა

---

*) იხ. „ცნ. ფ.“ № 2057.

---

უმრავლესობა ჩვეულებრივის ჭკუის პატრონია, სუსტი ჭკუის ცოტაა და კიდევ ცოტაა რეგვენი და სულელი! ამგვარადვე ძლიერ ცოტაა ნამეტანი მდიდარი, მეტია საზოგადოდ მდიდარი, ბევრია უზრუნველყოფილი, ცოტაა ღარიბი და უფრო ცოტაა სრულიად ღატაკი. ეს ორი საქმე აშკარად გვიმტკიცებს (?), რომ ჭკუა უდრის სიმდიდრეს: კლებულობს ჭკუა, კლებულობს სიმდიდრეც. გენიოსები და ნიჭიერები იბადებიან მხოლოდ მდიდართა ოჯახებში. წადით და ჰკითხეთ მექუდეებს: ვის უფრო მსხვილი თავი აქვს? უეჭველად, გიპასუხებენ: მდიდარსაო.

ცხადია, ღარიბები გადაგვარების გზას ადგანან. მათ არ შეუძლიანთ, შეეგუონ ცხოვრებას (უზნეო და უსამართლო ცხოვრებას?), უვარგისნი არიან, ამიტომ საჭიროა, და რაც შეიძლება მალე, ღარიბების და ღატაკების... ამოჟლეტა (რაღა ეშველებათ ნეტავ მაშინ ჩასუქებულ ბურჟუებს, ვისი ხელებით იმუშავებენ?), და ამით კაცობრიობის მოდგმის გაწმენდა და გაკეთილშობილება. ამისთვის დაუყოვნებლივ შემოღებულ უნდა იქმნას შემდეგი „რეფორმები“: უნდა დაედვას დიდი ბაჟი უსაჭიროესს ნივთებს, როგორც არის პური, მარილი, ღვინო და სხვა. ეს ბაჟი მდიდრებისათვის არ იქმნება საგრძნობი და ღარიბებს კი ძლიერ გაუმწარებს ცხოვრებას და შეუმოკლებს დღეებს. უნდა დაენიშნოს სახელმწიფო პრემიები და პენსიები მდიდრებს. ღარიბებს არ უნდა ექნესთ არავითარი უფლება საადმინისტრაციო და საპოლიტიკო საქმეებში მონაწილეობისა. ღარიბის შვილს არ უნდა ჰქონდეს ნება შეირთოს მდი[illegible]თი და არც მდიდარს—ღარიბისა. უნდა გახშირდეს ომები, რადგან ომიანობა შეამცირებს ღარიბების რიცხვს. ძლიერმა (რასაკვირველია, მკლავით ძლიერმა) ერმა უნდა გასწყვიტოს პატარა და სუსტი (რასაკვირველია, ფიზიკურად სუსტი!) ერი, კულტურულმა ერებმა უნდა დაიმონონ უკულტურო ერები და ერთი ერი უნდა იყოს მეორე ერის ბატონიო!..

მკითხველი, უეჭველია ჰფიქრობს: ყველაფერი ეს ჩემი შეთხზული ზღაპარია. მაგრამ ძალიან სცდება. აქ მოყვანილი აზრები ეკუთვნის „მეცნიერს“ ამმონს და რომ მსგავსი „მეცნიერები“ არიან სხვებიც, ეს შეუძლია გაიცნოს ბ. ლორიას სოციოლოგიიდან. რას ვიქთ! დღევანდელი დრო ისეთია, რომ ყოველ-გვარს მოვლენას თავისი თეორია აქვს; ბურჟუაზიულ უსამართლობასაც თავისი მეცნიერება აქვს და ფილოსოფია ისე, როგორც ლოთებსაც აქვთ თავისი ფილოსოფია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძლიერ გადაკრულნი არიან. შედარებით ეს დიდი წარმატებაა: სჩანს, სინიდისი მოსვენებას არ აძლევს ბურჟუაზიას, რომ ცდილობს როგორმე თავის გამართლებას. მაგრამ მიუხედავად, ამისა მაინც არავინ არ დაიჯერებს, რომ კაცი რაც მეტი მდიდარია, იმდენი მეტი ჭკუა აქვს, რომ გენიოსები და ნიჭიერები მარტო მდიდრებში იბადებიან, რომ ყველა ღარიბი უტვინოა, არ დაიჯერებს არავინ გარდა სულელისა (უკაცრავად, მაგრამ ეგ სულელი ალბად მდიდარი იქნება!), რადგან მთელი ისტორია სულ წინააღმდეგ გვეუბნება!

რა კარგია, რომ ჩვენს პალმებს წიგნების კითხვა არ უყვართ, თორემ ამმონის აზრები რომ გაიცნონ, თქვენი მტერი, ჩვენ საქმეს დაგვაყენებენ: ერთს ყლუპს იზამენ და გაგვათავებენ.

„მეცნიერული“ საბუთი გვაქვს, გვეტყოდნენ!

დღეს უბრალო პოლიციელსაც ერიდება „მეცნიერების“ საყვედურის, მაგრამ თუ „მეცნიერება“ მისკენაა, მაშინ ახლოს ნუღარ გაეკარებით!..

**ნიკუა.**

## ბათუმის ამბები

ახალი საბჭოს პირველი ნაბიჯი.

ეს მეოთხედ შეიკრიბა ბათუმის ახალი საბჭო. ხმოსნები ჯერ-ჯერობით არ აკლდებიან სხდომებს და არც გასაოცარია,—ბათუმში გასართობი ისე ცოტაა, რომ ორ-კვირაში ორიოდე საათით საბჭოში შესვლა აქაურ ხმოსანს დაკარგულ დროდ არ მიაჩნია: გულს გადააყოლებს და ქალაქსაც ხომ სარგებლობას მოუტანს.

რასაკვირველია, ყველა სცდილობს გამოიცნოს, რა მიმართულებას მიიღებს ახალი ანუ გაახლებული საბჭო. სულ 34 ხმოსანია, მაგრამ რა „ერთა კალეიდოსკოპი!“ ქართველი—16, სომეხი—6, რუსი—9, ბერძენი—2, პოლონელი—1. როგორც ჰხედავთ, არა ქართველი ძლიერია ახალი საბჭოში. ქართველები ძველებურად ველარა პირველობენ, ახლა სხვა „დუხი“ დატრიალდა. ეს უნდოდათ სხვებს და იმათ ხელი მოუმართა თვით ქართველთა შორის უთანხმოებამ, გაუტანლობამ და უმეტეს ყოვლისა საკუთარის ინტერესების შეუგნებლობამ. იმათ,—ჩვენ კერძოდ არავინა გვყავს სახეში,—ვისიც წყალობით ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა წარსული არჩევნები, კარგად არ გაუზომიათ, თუ რა დიდი ვნება მოუტანეს ქართველთა საქმეს ბათუმში, რამდენად შეაფერხეს იგი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სასტიკ და სამარცხვინო დამარცხების შემდეგ მაინც ყოველი აქაური ქართველი საგონებელში ჩავარდება.

ახალი საბჭო ეს-ეს არის შეუდგა მოქმედებას. მაგრამ მაინც ეტყობა, რომ სიჩუმე უფრო ემარჯვება. ჩვენ სრულებით არა გვყავან ორატორები და თუ ინგლისის ისტორიაში ცნობილია „გრძელი პარლამენტი“, მეშინიან, ბათუმის თვით-მმართველობის მემატიანემ არ აღნიშნოს „მუნჯი საბჭო“. გვყავნან დებიუტანტები, მაგრამ როდესაც ისინი თავის ფრიად მოკლე „რეჩებს“ ამთავრებენ, მე ჩემთვის ვიმეორებ: „ან ეგ რადა სთქვი, რაცა სთქვი, თუ რაც გინდოდა, ვერა სთქვი?“ ეს ჩემი გოდება უმეტესად შეეხება იმათ
რომლის შესახებაც აქაურმა „გა[illegible]
რმოსთქვა, რომ „ცხრანი[illegible]
რგებლონი იქმნ
არიან უკიდურ
ლაც განგებ
ნ.ა. არ არ
მოკრატი
თუ არა
კი ვ
გა
ად
ამის
რა
ბაზ
მი
თველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეობაა, ამ საზოგადოებას დავეხმაროთ და, თუ მეტი არ შეგვიძლიან, მრეწველთა საბჭო მაინც ჩაეწეროს საზოგადოების საპატიო წევრად.

გ. გ. ყმერიკი: სხვაც ბევრია სიმპატიური დაწესებულება.

ა. მ. კრინიცკი: ეს ისეთი დაწესებულებაა, რომ არა მარტო ქართველებმა, უცხოელებმაც უნდა მოუმართონ ხელი. საპატიო წევრობას დასჭირდება არა უმეტეს 100-200 მანეთისა.

საზოგადოებამ თანხმობა გამოაცხადა.

ა. მ. კრინიცკი: მეორე თხოვნა: ჩვენა გვყავს ერთი საუკეთესო მსახიობი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც მძიმე ავადმყოფია და საექიმოდ საზღვარ-გარედ უნდა წავიდეს...

თავმჯდომარე აღარ აძლევს ლაპარაკის ნებას.

თავ. ფ. გ. წულუკიძე: წელს ვერავის ვერ დავეხმარებით.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, არჩევნები უნდა მოხდესო, და ვთხოვ გარეშეთ პარტერიდან გავიდნენო.

თ. ფ. გ. წულუკიძე: მე მსურს საზოგადოების ყურადღება მივაქციო ერთს გარემოებას: სამთო ინჟენერი ბ-ნი ცეიტლინი ხშირად გვეუბნებოდა, სხვა ამგვარ საზოგადოებათ თვითმართველობა აქვთ მინიჭებული და, თუ ეცდებით, თქვენც მოგცემენო. ამის შესახებ გ. ფ. ზდანოვიჩმა აღძრა შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე, რომელმაც ჩვენი შუამდგომლობა შეიწყნარა და თვითმართველობა მოგვანიჭა. ამისათვის წინადადებას ვაძლევ კრებას მადლობის დეპეშა გაუგზავნოს ბ-ნს ერმოლოვს და ეთხოვოს, ნება მოგვცეს, რომ მომავალ საპროფესიონალო სასწავლებელს დაერქვას ერმოლოვის სასწავლებელი; გარდა ამისა მადლობა გამოეცხადოს ჩვენს თავმჯდომარეს ბ-ნს ცეიტლინს, რომელიც მუდამ მზად იყო ჩვენთვის შემწეობა აღმოეჩინა.

საზოგადოებამ მიიღო თავ. წულუკიძის წინადადება და ადგომით მადლობა გამოუცხადა ბ-ნს ცეიტლინს. ამას მოჰყვა საბჭოს თავმჯდომარის არჩევანი. წერილებით დაასახელეს: გ. ფ. ზდანოვიჩი 64 ხმით; თავ. ა. მ. ერისთავი—29 ხმით; თავ. კონსტ. გურიელი—1 ხმით; თავ. ი. ზ. ნიჟარაძე—1 ხმით; კ. საყვარელიძე—1 ხმით. შემდეგ შეუდგნენ კენჭის ყრას. საზოგადოება თხოულობს, რომ ბ-ნი მარკოვსკი გავიდეს სცენიდან. თავმჯდომარე აცხადებს, წელანაც ვსთქვი და ეხლაც ვამბობ, რომ იმას სამთო მმართველობისაგან ნება აქვს არჩევნებს დაესწროსო.

გათავდა კენჭის ყრა. ბ-ნმა ზდანოვიჩმა მიიღო 119 თეთრი და 64 შავი; თავ. ერისთავმა—84 თეთ. და 99 შავი. ამგვარად არჩეულ იქმნა ბ. ზდანოვიჩი. საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ-ნი ზდანოვიჩი; 1 თებერვალს მოხდება საბჭოს წევრთა არჩევნები.

დონ-ბაჟიანი

# თეატრი

**სიღნაღი.** 25 იანვარს აქ წარმოდგენა გაიმართა, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო. დარბაზში ტევა აღარ იყო და ბევრიც კარებში იყო ატუზული. დიდი ხანია ამდენი ხალხი არ გვინახავს სიღნაღში წარმოდგენაზედ. წარმოდგენა ლიონოზოვის პირველ დაწყებით სასწავლებლის შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ იყო გამართული. გამგეობდნენ ან. ნ. უაზახოვისა და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის მეუღლე. ითამაშეს სამი თითო მოქმედებიანი ვოდევილი და ერთიც ერთ-მოქმედებიანი კომედია. ქართულად ითამაშეს: „დატრიალდა ჯარა" უეფიანისა, და „მონადირე" გ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი: მ. ე. ბადრიევის ასული, დ. გ. გენაძისა და ბატონნი: ი. დ. კვალიშვილი, ს. ხახნაშვილი და სხვ. თამაშობით ქალებს უმაწვილები სჯობდნენ, თუმცა საერთოდ ყველანი რიგიანად თამაშობდნენ. რუსულად ითამაშეს Простушка и Воспитанная და Похищеніе Сильфиды". მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი: ს. ი. ბაიკაზოვი, ა. ა. ბრიუკოვი. დ. ი. ბაქრაძე, ვ. ი. აჩუშკინი, დ ფ. ანდრონიკაშვილი და ქ-ნნი მ. ი. და ბ. ს. ბაქრაძისანი, მ. ე. ბადრიძისა და დ. გ. გენაძისა. ამათში ყველაზედ კარგი იყო ბ. ს. ბაქრაძისა მოსამსახურე პალაშას როლში. სხვებსაც არა უშავდათ-რა. დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში. ნამოურეს ლეკური და დაუარეს ევროპიული „ტანცები". ნასიამოვნები ხალხი საათის ორზედ დაიშალა.

დამსწრე

## კავკასიის სახოფლო სამეურნეო საზოგადოებაში

პარასკევს, 31 იანვარს, საზოგადოებამ განიხილა ორი მოხსენება: აგრონომის ნ. ფ. ტარატონოვისა და თავ. გ. მ. მაჩაბლისა. ტარატონოვმა თავის მოხსენებაში აღნუსხა კავკასიის ყველა კუთხის არა სანუგეშო მდგომარეობა და ჩამოთვალა საშუალებანი ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უმთავრესი ყურადღება მომხსენებელმა მიაქცია მიწათ-მოქმედების გაუმჯობესებას. კავკასია ჰავით და ნიადაგით ერთი საუკეთესო კუთხეა, მაგრამ, მიუხედავად ბუნების სიმდიდრისა, ხალხი მაინც სიღარიბეშია, რადგან არ შეუძლიან გამოიყენოს ბუნების სიმდიდრე უცოდინარობის გამო. კავკასიაში მიწის მუშაობა რომ რაციონალურ ნიადაგზე იყოს დაყენებული, მცხოვრებნი არამც თუ სამყოფ სარჩოს მოიყვანენ, არამედ დიდ ძალ ნაწარმოებს გარეშე ბაზარშიაც გაიტანენ. დღეს კი ხალხს საკმაო საკვებიც ვერ მოჰყავს, რის გამო რუსეთის შიდა გუბერნიიდან დიდ ძალი პური შემოდის კავკასიაში.

ერთს საათს მაინც მოუნდა ბ-ნი ტარატონოვი მოხსენების კითხვას. სასოფლო-მეურნეობას ფეხზე დასაყენებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ხალხში საუკეთესო სამეურნეო იარაღისა და მანქანების გავრცელება და აგრეთვე საცდელ მინდვრების გამართვა, რათა ხალხმა პრაქტიკულად შეისწავლოს მიწის საუკეთესოდ დამუშავება.

თავ. გ. მაჩაბელმა თავისს მოხსენებაში მოკლედ აღნიშნა კავკასიის მეურნეობის დაქვეითება და სასურველად სცნო შემოღებულ იქმნას საყოველთაო სავალდებულო სწავლება, გაიმართოს ადგილები, ხელი შეეწყოს მთავრობის მხრივ გლეხთა თავის დახსნას ბატონებისაგან და დაარსებულ იქმნას კავკასიისათვის უმაღლესი სასწავლებელი. უმთავრესი ყურადღება თავ. მაჩაბელმა მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჩვენში დღეს არ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომელმაც უნდა იზრუნოს ხალხის განათლებისა, გზების გაყვანისა და საზოგადოდ სოფლის ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილებაზე. ადმინისტრაციას ყველა ამისათვის არა სცალიან. თავ. მაჩაბელმა დასასრულ ურჩია სამეურნეო საზოგადოებას, ეხლავე აღძრას შუამდგომლობა ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

დიდი კამათი გამოიწვია ბ. ტარატონოვის მოხსენებამ: უმრავლესობამ სთქვა, რომ მოხსენება ცალმხრივად არის შედგენილი: მომხსენებელი აღნიშნავს მარტო ბნელს მხარეებს ჩვენის ცხოვრებისას, ამასთანავე უპირველეს ფაქტორად ხალხის ეკონომიურად მოღონიერებისა მიაჩნია საცდელი მინდვრების და იარაღით.

თავ. მაჩაბლის მოხსენების გამო კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ პროგრამის განხილვის დროს უკვე წამოყენებულ და გადაწყვეტილ იქმნა ყველა ის საკითხები, რაც მოხსენებაშია აღნიშნული.

კრებამ ღამის სრულ 12 საათამდე გასტანა, მაგრამ ამ მოხსენებათა შესახებ ვერავითარს გამორკვეულს აზრს ვერ დაადგა.

## წერილი თელავიდან

საქონლის ქურდობა სოფლებში და თელაველი ყასბები.—ღორის პირი და თელავის მამასახლისი.

ძალიან მოუხშირეს თელაველმა ყასბებმა წლისა და წლი ნახევრის საქონლის ხოცვას; თითქმის ყოველ დღე იშოვება დაკლულის, პატარა მოზვრის ხორცი. ამასთან ყოველ დღევე ისმის სოფლელთა საჩივარი, გომური გამიტეხეს, ფური და მისი ერთის წლის ხბო მომპარესო. ამ ერთ კვირაში ჩემი ყურით გამიგონია სამი-ოთხისაგან: კონდოლში ორი გომური გასტეხეს და სხვა სოფლებში სამიო. ეს რაც მე გავიგონე—დაზარალებულთაგან, ახლა, რაც მე არ გამიგონია, რამდენად მეტი იქნება, ეს მკითხველის აზროვნობისათვის მომინდვია. „მომპარავმა ერთი ცოდვა ჰქმნა, დამკარგავმა ათასიო", ამბობს ანდაზა, ამაში არა არის-რა ნათქვამი შორიდან მაყურებელზედ. ცხადია, ხალხის სიბრძნეს ცოდვად არ ჩაუთვლია მაყურებლის მოსაზრება-დასკვნანი მომპარავსა და დამკარგავზედ. ამიტომაც არის, რომ მაყურებელთა შორის, ბევრს ჰგონია, ვითომც სოფლელების ჩივილს ქურდობაზედ და თელავში დაკლული მოზვრის ხორცის გამრავლებას ერთმანეთთან კავშირი უნდა ჰქონდესო; ამას დიდი ტარ-ჭრელი კოგზი არ უნდა, გამჭრიახი კაცი მალე გამოამჟღავნებდა ყველა ამას, მაგრამ სად არის ეს გამჭრიახი კაცი? უმატებენ თვითონვე.

მე ამისი არა ვიცი რა, მარტო გაგონილს და ნახულს მოგახსენებთ, ის კი კარგად ვიცი, რომ თელავის მამასახლისის დაუდევრობა და რჩეულთა განუწყვეტელი თვლემა დასძლია ფირუზ იმხანოვის სიფხიზლემ. იმხანოვმა მამასახლისს განცხადება წარუდგინა: „რადგანაც 1) კახეთში ღორის ჭირი თანდათან ძლიერდება, რის გამო ღორის პატრონნი იძულებულნი არიან ჩალის ფასად ჰყიდონ ღორები, იქნება ჭირიანიც, რომლებსაც, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, ყიდულობენ თელაველი ყასბები; 2) აწინდელი ზედამხედველობა მინდობილი აქვს ერთ ფერშალს, რომელიც გარდა ამისა, რომ ხშირად არ არის საყასბოში, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ საქმეში სარწმუნო პირად; 3) მრავალნი მოქალაქენი სჩივიან, გასაყიდად გამოფენილი ღორის ხორცი საეჭვოა და იყო კიდეც შემთხვევები, რომ ნაყიდი ხორცი გადუყრიათ, ან უჭამიათ და ავად გამხდარან;—ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ: 1) დაუყოვნებლივ გაუსინჯოთ ყასბებს დუქნებში ღორის ხორცი თანა-დასწრებით მაზრისა და სამხედრო ექიმებისა და 2) რწმუნებულთა საგანგებო კრებას მოახსენოთ: ა) რა ღონისძიებანი გიხმარიათ, რომ ჭირიან საქონლის ხორცის სყიდვა მოისპოს და ბ) მოისპოს ყასბების დუქნებში საკუჭნაოები, სადაც ჰმალავენ საუკეთესო ხორცს ზოგიერთ პირებისათვის, რითაც უმრავლესობას ერთმევა საშუალება რომლისმე რიგიანი ხორცი იყიდოს. ამასთანავე არ შემიძლიან არ გამოვაცხადო განცვიფრება, რომ ჩემი განცხადება, წარმოდგენილი ენკენისთვეში 1902 წელს, აქამომდის არ მოხსენებია კრებასო".

არ შეიძლება მადლობა არ გამოუცხადოთ ბ-ნ იმხანოვს განცხადებისთვის და ამასთან არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ თელავის მამასახლისს, რომელსაც გაზეთებიდან მაინც ეცოდინებოდა, თუ თვით მოქალაქეთაგან დაშორებულია, რომ კახეთში ღორის ჭირი მძვინვარებს აგერ უკვე ორი თვეა და ამიტომ ყურადღება უნდა მიექცია საყასბოებს. ნუ თუ ბ-ნი იმხანოვი და ან სხვა ვინმე უნდა აგონებდეს მოვალეობის შესრულებას? იქნება მამასახლისი უცდის მსხვერპლებს და როცა რამდენიმე კაცი მოკვდება, მაშინ დაფაცურდება?

ნადიკვრელი.

## წერილი რაჭიდან

მაზრის თავად-აზნაურთა კრება

24 იანვარს ონში მოხდა რაჭის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებას დაესწრო ბევრი თავად-აზნაური ზემო რაჭიდან და ორი-სამი კაცი ქვემო რაჭიდან. მარშალმა თავ. დ. ყიფიანმა, სხვათა შორის, სთხოვა თავად-აზნაურთ შემწეობა აღმოუჩინონ სამ-კლასიან საქალაქო სასწავლებელს, რომელიც არსდება დ. ონში რაჭის მაზრის უფროსის თავ. ლიონიძის მეცადინეობით. როგორც მოსალოდნელი იყო, თავად-აზნაურობა დიდის სიხარულით მიეგება ამ ყოვლის მხრით კეთილს საქმეს და იკისრა გადასახადად სამი ათასი მანეთი. თუმცა ეს ცოტაა, მაგრამ ხმა გავრცელდა, ვითომ ქვემო რაჭის თავად-აზნაურნი არაფერს კისრულობენ თავზედ, ვინაიდან იქვე ჰფიქრობენ საქალაქო სასწავლებლის დაარსებასო და ამის გამო ზემო რაჭის თავად-აზნაურთათვის (240 კომლია), რომელთაგან ბევრი ძალიან ღარიბია, სამასი თუმანი კი გადასახადია. სულითა და გულით მოხარულნი ვართ, რომ თავ. დ. ყიფიანი ყოველ ღონის ძიებას ხმარობს სწავლა-განათლების საქმისათვის. როგორც ზევითაც მოგიხსენიეთ, ონში საქალაქო სასწავლებლის დაარსება აღძრა რაჭის მაზრის უფროსმა თავ. ლიონიძემ იმედია, მაზრის უფროსი შემდეგშიაც განაგრძობს ნაყოფიერ მოქმედებას.

თავად-აზნაურთა ამავე კრებამ ამოარჩია შემდეგი პირნი, რომელთაც ექნებათ ხმა საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრების დროს: ეხლანდელი მარშალი თავ. დიმ. ყიფიანი, ელია მაქარაშვილი, ივ. გაბრელიძე თავ. კოს. წულუკიძე, სტატ. სოვ. თავ. დიარ. ყიფიანი, მომრიგებელი მოსამართლე თავ. დავ. ყიფიანი, ნაფიცი ვექილი სერ. ჯაფარიძე მარშლად ნამყოფი დავ. წულუკიძე, ივ. გიტაშვილი, ალექ. წულუკიძე, სიმ. ნიკოლ. ჯაფარიძე, დავ. ბაქრაძე, ბეს. იაშვილი, მარშლად ნამყოფი თავ. სიმ. დავ. წერეთელი. თავ. კონსტ. დავ. წულუკიძე, კნ. ელის გიორ. წერეთლისა, კნ. სოფიო დიმიტ. დიასამიძისა, სიმ. ჯაფარიძე, დავ. გიტაშვილი, კონსტ. გოცირიძე, ვალ. გრიგ. წულუკიძისა, პლატ. წულუკიძე, ივ. ქავთარაძე, თავ. ვალ. ჯაფარიძე, თავ. იას. წულუკიძე, ბეჟ. გოცირიძე, ექვ. ჭიჭინაძე, აფრ. ჯაფარიძე.

პარ. გამყრელიძე

## დაბა-სოფლები

**ცხინვალი** (ქართლი). ძველი წელიწადი ისტორიის სავანეში ჩაესვენა. გავისტუმრეთ იგი ზოგმა ქეიფ-ზეიმით, ზოგმა კიდევ—კრულვა-წყევლით. ყველანი კი, ახალწელს, ახალ-ახალის იმედებით მივეგებეთ; მაგრამ მალე მოვტყუვდით: ისევ „ვერტუშკა-ლოტოს" თამაში და ჭორიკანობა.. (ამ უკანასკნელ ხელობაში ჩვენი „შლაპოსან-მანდილოსანნი" თელავურ ქალებს ვერ ჩამორჩებიან), ისევ დახავსებული ცხინვალი თავის უსწორ-მასწორო ქუჩებით, დაკონკებულის ხიდით, უფარნობით, უსუფთაობით და უსამკითხველოთი. აი, ასეთია ათას ცხრაას მესამე წლის კარიბჭეზე ცხინვალის სურათი...

ჩვენს დაბას ერთი „განათლება"-და აკლდა და ისიც შეისრულა. სამიკიტნოებსა და ზოგიერთ დუქნებში ხშირად გვითხულობთ ხოლმე შემდეგ განცხადებას: „უკეთუ მოქეიფე მუშტარი მოწყენილი იქნება, აუკრავს ედისონის მაშინა. ფასი თითო პესნა თითო შაური". გრამოფონი იმდენად გაიაფებულია, რომ „ძმა-ბიჭებიც" ყიდულობენ და სოფელ-სოფელ ატარებენ. ფულის გარდა იღებენ კვერცხებს, ქათმებს, ჩურჩხელებს და სხვა..

რეზუხი

**აბაშა** (იმერეთი). 24 იანვარს საჯავახოში მოხდა აბაშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 56 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა მღვდელი იოსებ კანდელაკი. კრებას მოხსენდა მოქმედება ამხანაგობისა დაარსებიდან (20 აგვისტო 1901 წ.). აღმოჩნდა შემდეგი: შემოსავალი: საწევრო ფული—4062 მ., მობარებული ფული—1195 მ., სათადარიგო თანხა 6 მ. 34 კ., გადასავლითი—34 მ. 49 კაპ. მოგება (1902 წ.).—504 მ. 2 კ.,—მთელი ჯამი—5801 მ. და 85 კაპეიკი. ხარჯი: ვექსილებით გასესხებული—5606 მანეთი,—ნაღდ ფულად—47 მ. 68 კაპ. ქონება (კასსა)—148 მ. 22 კაპ.—მთელი ჯამი—5801 მან. და 85 კაპ. კრებამ დაამტკიცა 1902 წ. ანგარიში კასსისა; დაადგინა: 1) დავავალოს საბჭოს წევრთ გაეცნოს „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირის" წესდება და, თუ საჭიროდ დაინახავს, მოიწვიოს კერძო კრება; 2) უვადოდ და ვადით მობარებულს ფულს მიეცეს არა უმეტეს 7%; 3) გადმოტანილ იქმნას ამხანაგობის გამგეობა აბაშის სოფლის სასამართლოდან საჯავახოში; შემდეგ მოხდა არჩევნები. კრებამ ერთხმად ამოირჩია გამგეობის წევრად ისევ ერმილე პეტრეს-ძე კიწმარიშვილი. საბჭოს წევრებად ხელ-ახლავე აარჩიეს მღ. მ. ვლადიმერ კანდელაკი და მასწავლებელი ბ. ლევანტი ჯაში. გამგეობის წევრებმა დიდი შრომა გასწიეს და ამხანაგობის საქმეები თვალ-საჩინოდ მოაწყეს. წელს ამხანაგობას წევრთა შორის განაწილებად დარჩა ნაღდი მოგება 443 მანეთი და 60 კ. წინა წელს-კი ამხანაგობას მოგება დარჩა მხოლოდ 54 მანეთი.

ამხანაგობის გამგეობა დღიდან დაარსებისა (20 აგვისტოს 1901 წ.) მოთავსებულია გამგეობის წევრის სტეფანე თარგამაძის სახლში. რომელიც უსასყიდლოდ დაუთმო ხსენებულმა წევრმა, სანამ ამხანაგობა საკუთარს სახლს შეიძენდეს. ამ კაცისაგან წყალობით ამხანაგობას ჯერჯერობით არც სინათლე და არც შეშა არ ეხარჯება, და ესეც კარგი სიკეთეა. დიდის მადლობის ღირსნი არიან გამგეობის წევრნი და განსაკუთრებით ერმილე კიწმარიშვილი. მ. თ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 იანვარი.

**პეტერბურგი** 30 იანვარს არტისტ-ქალის სავინას ბენეფისზე ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი ალექსანდრა თეოდორის ასული და საიმპერატორო გვარეულობის პირნი.

**ვაშინგტონი.** ნამდვილის წყაროებიდან იტყობინებიან რომ ვენეცუელას საქმეების შესახებ მოლაპარაკება საკეთილოდ დასრულდა. ხვალ ან ზეგ მოსალოდნელია, ოქმს ხელს მოაწერენ.

**შანჰაი.** გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი იუწყება: როგორც ამბობენ, ჩინეთის მიერ 1901 წელს გამოცხადებულმა დაპირებამ, ზღვათა ტამოჟნების მთავარ უფროსად გარტის მოადგილე ინგლისელი უნდა იყოსო, ამ ჟამად ძალა დაჰკარგაო და ლანსდოუნი თანახმაა იმ წინადადებისა, რომ გარტის ადგილას სახალხთა-შორისო კომისია იქმნეს დანიშნულიო.

**ტანჟერი.** ფეციდან უკანასკნელად მოსულ ამბებიდან სჩანს, რომ იქ სულ მშვიდობიანობაა და ტახტის მაძიებლის შესახებ არავითარი ახალი ცნობა არ მოსულა.

**რომი.** ტელეფონების შესახებ კანონ-პროექტის განხილვის დროს ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა გამოაცხადა: მარკონისთან მოლაპარაკების შემდეგ, საქმე ისეა მოგვარებული, რომ უმავთულო ტელეგრაფისათვის ყველაზე უფრო ძლიერი სადგური რომში იქმნება გამართული არგენტინასთან შესაერთებლად; ამის შესახებ კანონ პროექტს ხვალ წარმოვადგენო.

**პორტ-არტური.** ბერლინიდან მოსულს დეპეშას ჩინეთის დედოფლის გარდაცვალების შესახებ უარსჰყოფენ 25 იანვარს რუსეთის ოფიციალი ცნობები პეკინიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ დედოფალმა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მიიღო.

**ხარკოვი.** საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო კომიტეტის კრებები დასრულდა. უმთავრესი დადგენილებანი კომიტეტისა: აგრონომიულ განათლების გაწყეს-რიგება; საშუალო სკოლებში ბუნების შესწავლის შეგსება; მთავრობამ საგუბერნიო აგრონომები დააწესოსო, საერობო დაზღვევის გაძლიერება, კერძო დაზღვევებს მეტი თვალყურის გდება ჰქონდეს; მიწათ-მოქმედების სამინისტრომ მეტი სარწყავები გაჰმართოს; სამეურნეო ნაწარმოებზე რკინის გზებმა ნაკლები გადასაზიდი ხარჯები აიღოს და დიფერენციალობაც დარჩეს; ელევატორები მრავლად დაარსდეს; მეურნეობის წვრილ წარმოებას ხელი შეუწყოს მთავრობამ; წვრილი კრედიტი გაიმართოს იმ რიგად, როგორც ეს ფინანსთა მინისტრის მოხსენებაშია გამოცხადებული, ცენტრალი ბანკის დაარსებით, რომელმაც წვრილ საკრედიტო დაწესებულებათ უნდა აძლიოს ფული; სამელიორაციო კრედიტი ერობათა განკარგულებაში გადავიდეს; მისავალი გზები ერობათა ხელში გადავიდეს და ხაზინამაც გზების კეთებისათვის ფართო დახმარება აღმოუჩინოს; რკინის გზებზე ვაგონები და ორთქლ-მავლები გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს; არა ნამდვილ სპირტზე, გაფუჭებულ შაქარზე და შაქრის ქარხნებიდან მეორე ხარისხის ნაწარმოებზე აქციზის გარდასახადი მოისპოს. ზოგიერთ სამაზრო კომიტეტის წინადადება, სათემო მფლობელობა მოისპოსო-უარ ჰყვეს, აგრეთვე ისიც, რომ საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ სამეურნეო იარაღებს ბაჟი მეტი დაედოსო.

**სოფია.** სამხედრო სამინისტრომ აღუკრძალა მაკედონიის მკვიდრთაგან ოფიცრებს მაკედონიის საქმეებში მონაწილეობის მიღება. სასჯელია, იმათთვის დადებული, ვინც განკარგულებას არ დაემორჩილება. ტყუილია ის ხმები, ვითომ ბოლგარიის ორ დივიზიას ამზადებენო. მთავრობის წრეებში ყველანი მშვიდობიანობის დაცვას არიან მოწადინებულნი და არც-კი უფიქრიათ ჯარების შემზადება.

1 თებერვალი.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობა საყვედურს აცხადებს ევროპის კაბინეტთა მიმართ ნოტაში პორტას მოქმედების გამო, რადგან ოსმალეთის მხედრობა ბოლგარიის საზღვარზე სდგასო, და არწმუნებს, რომ პამროვოგმა სასტიკი ბრძანება გასცა ოფიცრებზე, რომელნიც მაკედონიის მოძრაობაში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე ალყა შემორტყმულად აღიარებულ იქმნება სოფიისა, ფილიპოპოლისა და კიუსტენდილის ოლქები.

**ეკატერინბურგი.** 28 იანვარს, დილის 7 საათზე ზლატოუსტის ახლო ხრებტსა და სადგურ უკ-ურჟუმკასთან სამგზავრო მატარებელს № 6., უბედურება შეემთხვა. მეორე კლასის მეოთხე ვაგონი რელსებს გადასცდა, მოჰყვა წინა ვაგონებს და ორ საჟენამდე ამაღლებულ მიწისაკენ დაჰქანდა, თანაც სამი ვაგონი მოჰგლიჯა და თავისკენ გაიტაცა. ამის გამო მატარებლის ბოლო დაიხდაგზე დარჩა. პირველი ორი ვაგონი სრულიად დამსხვრეულია, ორიც ძალიან დაზიანებულია. უფრო მეტად დაშავდნენ მეორე კლასის მგზავრები, ორი მკვდარია, 30 მძიმედ დაშავებულა და 15 მსუბუქად. ობერ კონდუქტორი, რომელიც ამ უბედურების დროს წინა ბაქანზე იდგა და, მძიმედ დაშავებული, ეშველოდა დაშავებულთ ნამტვრევებიდან ამოსვლას, სადამდე მოკვდა. მეორე კონდუქტორიც უიმედო მდგომარეობაშია. ამავე მატარებლის მომდევნო სამგზავრო საქონლის მატარებლით მძიმედ დაშავებულნი ზლატოუსტს წაიყვანეს, ხოლო მსუბუქად დაჭრილნი ჩელიაბინსკს გაჰგზავნეს მომდევნო მატარებლით,

**კონსტანტინეპოლი.** ინგლისის საელჩომ პროტესტი გამოაცხადა იემენში 15 ბატალიონის გაგზავნის შესახებ და საერთოდ ყოველგვარ მხედრობის გაგზავნისა იქით, ვიდრე მოწეს-რიგებული არ იქმნება იემენში ადგილების განსაზღვრის საქმე.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ სავაჭრო ზღვაოსნობის და ნავთსადგურების სამმართველოსთან 16 იანვრიდან დაიწყო ბჭობა კერძო სავაჭრო-ზღვაოსნობისა, სახელმწიფო ნავთ-სადგურების ინტერესებისა და აგრეთვე გრანტის საკითხის გამოსარკვევად.

---

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

---

# გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**ზორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ზორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. )11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

---

# განცხადებანი

«მოგზაური»-ს რედაქციაში

და ყველა წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი

**ახალი წიგნები:**

1) **პურის ბოსტანი.** ეს წიგნი საჭიროა ყველა მეოჯახისა და სკოლისათვის, რადგან ასწავლის დიდ ძალ პურის მოყვანას ბოსტანში ანუ პატარა ადგილზე, ფასი 7 კაპ.

2) **შინაური ფრინველები:** ქათმების, ინდოურების, ბატების, იხვების და ხოხბების გონიერად მოვლა და მოშენება, სურათებით. ეს წიგნი განსაკუთრებით საჭიროა სოფლელ ქალთათვის, დამოუკიდებელი თანხის შესადგენად, ფასი 15 კაპ.

3) როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? ბუასილის **ფუჭ-წამალი** და ციებ-ცხელებისა **რძე-არაყი**, ფასი 5 კაპ.

4) 1903 წლის კედლის ერთიანი კალენდარი, ფასი 5 კ. და სხვა

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გამოიწერს, გასაგზავნს არ იხდის.

ადრესი დაბარებისა: Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“. (3—1)

---

# საკონდიტერო

„MARIE“

ქართველ ქალთა ამხანაგობის მიერ გაიხსნა 28 იანვარს სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლში (სოლოლაკში). მასთანვე არის მშვენივრად მოწყობილი „Cafe“. (10—2)

---

ვარდისფერი

ბროლისებური **საპონი**

№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ

**ყაირათიანია.**

ვარდის საუცხოვო სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა და რიგაში.

(მც. 2.—5)

---

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

აცხადებს, რომ 11 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც **გაიცემა იჯარით მნაცაკანის ხიდის შემოსავალი.** ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, იმას პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. იმათ, ვინც მონაწილეობას მიიღებენ ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინონ ბედ 1500 მანეთი. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება მხოლოდ 11 თებერვლის 12 საათამდე. (2—2)

---

# იყიდება

დასანგრევად და გადასატანად

ორ-სართულიანი აგურის შენობის ნაწილი ფლიგელით,

რომელშიაც იმყოფება კავკასიის რკინის გზის ნავთის გასაყვანი განყოფილება; სიგრძით ქუჩის პირზე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ $9^1/_2$ საჟენი; სულ შენობა სამას კუბიკურ საჟენამდეა. ეს შენობა აგებულია **ქ. ტფილისში**, ელისაბედის ქუჩაზე, ზემოხსენებულ რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ, კნიაჟნა ნ. ა. ბეგთაბეგოვის მიწაზე.

ფასის გასაგებად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობას არა უგვიანეს ამა წლის 10-ს თებერვლისა. (ნ. 3—3).

---

# განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ გველესიანი.** (20—7

---

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

# ფარმაცევტთა ამხანაგობა

**ტფილისში**

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების“ ქვეშ).

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქრის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა, და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—3)

---

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

**ყოველ დღიურ გაზეთ**

# „ცნობის ფურცელ“-ზე

## სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით—6 მანეთი. | 1 წლით—9 მ. |

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

# „მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

**ფასი ჟურნალისა**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარედ: |
|---|---|
| 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ. | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ. |

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

# შოთა რუსთაველის

**ახალი სურათი,**

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამა 1903 წელს „მოამბე“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის რომანის** „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

**რედაქცია** და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ. ა. ბ. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т-ва)